ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

20 იანვრიდან

„ახალ თაობასთან“ ერთად

„მგლის ბილიკი“

ქართული დეტექტივი. ტომი 1

ფასი გაზეთთან ერთად - 5 ლარი




ხუთშაბათი, 21 იანვარი, 2016 №16 (6942) ფასი: 50 თეთრი

# პოპოვი: „ბიძინა კუჭავამ მე და ჩემი ცოლი გადაგვარჩინა“



გვ.4

## მოწმე 17 იანვრის ღამეს იხსენებს

## ადვოკატი კორკოტაძე: „პოპოვი სუს-მა მოგვიგზავნა“



გვ.4

## ზურაბ აბაშიძე: „კოალიციაში ჩვენი დაბრუნება გამორიცხულია“

გვ.2



„ქართულ ოცნებას“ რთული დღეები უდგას“

## „ქართული ოცნება“ საარჩევნო სიას სარეიტინგო გამოკითხვებით შეადგენს?

გვ.2



თამაზ მეჭიაური: „დიპლომებით სახლში იმარიაჟონ“



## არჩილ გამზარდია: „მრეწველები „ოცნების“ სიაში არ უნდა იყვნენ“

გვ.3



გვ.3

## ემზარ კვიციანი: „პარლამენტში 138 ქალი უნდა იყოს“

## აფხაზეთის ტურისტულ ბიზნესში თაღლითები მომრავლდნენ

გვ.7

თურქული პროდუქციის შემზღუდავი ნუსხა დამტკიცებულია

ISSN 1987-9385

# ზურაბ აბაშიძე: „კოალიციაში ჩვენი დაბრუნება გამორიცხულია“

ნონა ცაბაძე

აპირებს თუ არა ალასანიას გუნდი ხელისუფლებასთან თანამშრომლობას? არის თუ არა იმის შანსი, რომ თავისუფალი დემოკრატები კვლავ ვიხილოთ კოალიციაში? – ამ და სხვა კითხვებზე „ახალ თაობას“ თავისუფალი დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი, ზურაბ აბაშიძე პასუხობს.

***– ბატონო ზურაბ, საუბრობენ, რომ კოალიციაში შესვლა გსურთ და ამის წინააღმდეგი მხოლოდ ირაკლი ალასანიააო. ასეა?***

– ეს ვინ თქვა?! რა თქმა უნდა, არ არის ამაზე საუბარი, ეს თემა არც განხილულა პარტიის პოლიტიკურ საბჭოზე. ჩვენ ვართ ოპოზიციაში მყოფი პოლიტიკური ძალა, რომელმაც თავისი მკვეთრი დამოკიდებულება დააფიქსირა „ოცნების“ მიმართ, კოალიციის, რომელმაც ძალიან ბევრი ისეთი დაპირება გასცა, რომლებიც არ შესრულდა. ძალიან ბევრი ადამიანი აღმოჩნდა მოტყუებული ამ პოლიტიკური ძალის მხრიდან.

***– რატომ გაჩნდა ეს განწყობები, რომ თქვენ თითქოს უფრო ლოიალურები გახდით ხელისუფლების მიმართ?***

– მე მგონია, რომ პრემიერ-მინისტრის ცვლილებამ გამოიწვია ასეთი დამოკიდებულება. ბატონი კვირიკაშვილი ცალსახად გამოირჩევა წინამორბედისგან და მის მიმართ აბსოლუტურად პოზიტიური განწყობა დაფიქსირდა ჩვენი მხრიდან. ჩვენ მას შევთავაზეთ ასი დღე და ამ პერიოდის განმავლობაში ქვეყნის ეკონომიური კრიზისიდან გამოყვანის გეგმა უნდა იყოს წარმოდგენილი. ლარის გამყარების და ასე შემდეგ.



**„თუ რაიმე კარგს გააკეთებს კვირიკაშვილის მთავრობა, ამას მხოლოდ მივესალმებით“**

***– რამ მოგხიბლათ კვირიკაშვილში?***

– რამდენიმე დღის წინ ჩვენ მოვისმინეთ მისი პოზიცია ეკონომიკურ პროგრამასთან დაკავშირებით, რომელიც პირდაპირ ემთხვევა ჩვენს პროგრამას. კიდევ უამრავი საკითხია, რომლებიც თანხვედრაში მოდის ჩვენს შეხედულებებთან. სწორედ ამ თემებმა გამოიწვია ეს მითქმა-მოთქმა.

***– მის ეკონომიკურ პროგრამებზე საუბრობთ, თუმცა ვერც იმას ვხედავთ, რომ ლარი მყარდებოდეს. ასე არ არის?***

– ლარის გამყარება დამოკიდებულია ძალიან ბევრ რამეზე. პირდაპირ დამოკიდებულია ინვესტიციების შემოსვლაზე ქვეყანაში, არის პრობლემები, რომლებიც შეუძლებელია, რომ ერთ და ორ თვეში მოგვარდეს. ახალ ხელისუფლებასაც კი გაუჭირდება ამის მყისიერად გადაჭრა.

ადრეც გვითქვამს და გავიმეორებ, რომ გარე ფაქტორებს დიდი მნიშვნელობა აქვს. ვნახოთ, რა ხდება მეზობელ ქვეყნებში. აზერბაიჯანში ვალუტის გაუფასურება კიდევ უფრო მაღალი პროცენტით მოხდა, ვიდრე საქართველოში. ეს თემები კი ერთმანეთთან პირდაპირ კავშირშია. ვხედავთ იმასაც, თუ როგორ ეცემა ნავთობის ფასი.



ამ ყველაფერს უნდა შევხედოთ რეალისტურად. ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს, პირველ რიგში, აინტერესებს ის, თუ როგორი იქნება მათი ცხოვრება, გაიზრდება თუ არა პენსიები. დღეს გაცილებით მეტ ადამიანს უჭირს, ვიდრე გუშინ უჭირდა. ფასები გაიზარდა, ლარის მსყიდველობითი უნარი დაეცა. თითქმის აღარ მეგულება ადამიანი, ვისაც ბანკის ვალი არ ჰქონდეს. თუკი რაიმეს კარგს გააკეთებს ახალი მთავრობა, ბატონი კვირიკაშვილის მეთაურობით, ჩვენ ამას მხოლოდ მივესალმებით.

***– ხაზგასმით აღნიშნავთ, რომ ახალ პრემიერთან ურთიერთობა შესაძლებელია. ღარიბაშვილთან ეს შეუძლებელი იყო?***

– ის დამოკიდებულება, რომელიც ჰქონდა წინა პერიოდში წინა პრემიერს, ბატონ ღარიბაშვილს, არ იძლეოდა ამის რეალურ საშუალებას. ეს აშკარად ჩანდა უამრავ საკითხთან დაკავშირებით და ამაში ყველა დამეთანხმება.

**„ქართულ ოცნებას“ რთული დღეები უდგას“**

ეს ტენდენცია, რომელიც გამოხატა ახალმა პრემიერმა, რადიკალურად განსხვავებული და იმედის მომცემია. ჩვენ ხომ არ ვართ ჩვენი ქვეყნის ოპოზიცია, ჩვენ ვართ მთავრობის ოპოზიცია და მათ ვთხოვთ საკითხების გადაჭრას, რის გამოც ისინი არიან ხელისუფლებაში. თუ რამეს გააკეთებენ, გადაჭრიან და პრობლემებს მოაგვარებენ, ჩვენ ვართ ადეკვატური პოლიტიკური ძალა, ამას დადებითად შევაფასებთ და მივესალმებით კიდეც.

***– თუ იქნება თანამშრომლობა?***

– რა თქმა უნდა. ოპოზიციონერობა არ ნიშნავს მტრობას. საქართველოში ეს სტერეოტიპი რომ ჩამოყალიბდა, ეს არის ძალიან ცუდი. თუ პრეზიდენტთანაც იქნება ნორმალური ურთიერთობა, ის მობრძანდება პარლამენტში და მთავრობა მოუსმენს მას, განა ეს დადებითი პროცესი არ არის?! ამ დაძაბული ურთიერთობის მაშინაც კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი, როდესაც ხელისუფლებაში ვიყავით.

***– ბატონო ზურაბ, 100%-ით გამორიცხულია თქვენი კოალიციაში ხილვა თუ არის ამის მცირეოდენი შანსი?***

– არანაირი შანსი. ამაზე საუბარი საერთოდ არ არსებობს არც ერთი

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# „ქართული ოცნება“ საარჩევნო სიას სარეიტინგო გამოკითხვებით შეადგენს?

შორენა მარსაგიშვილი

მმართველ კოალიციაში მოახლოებული არჩევნების გამო დიდი ნერვიულობაა. დეპუტატები დაცემინებისას ერთმანეთს „სიცოცხლის“ ნაცვლად სიაში მოხვედრას უსურვებენ.

სიაში მოხვედრა კი ადვილი არ იქნება.

როგორც ამბობენ, ისეთი ულტიმატუმები წაუყენეს ბიძინა ივანიშვილს კოალიციაში შემავალმა სუბიექტებმა, რომ მთავარმა მეოცნებემ კინაღამ ახალი პარტიის შექმნა გადაწყვიტა.

სარწმუნო წყარომ „ახალ თაობას“ განუცხადა, რომ ამ საკითხზე ივანიშვილი სერიოზულად ფიქრობს. საარჩევნო სუბიექტები კი შანტაჟის სხვადასხვა ფორმას მიმართავენ. მავანს მეოცნებეთუხუცესისთვის შეუთვლია, ჩერნოვეცკისთან გადავალთო.

მეოცნებეთა ნაწილი რომ ბედნიერებისკენ ისწრაფვის, ამის შესახებ „ბედნიერი საქართველოსთვის“ ერთ-ერთმა ლიდერმა მურმან დუმბაძემ „ახალ თაობასთან“ ისაუბრა. მას გვარები არ დაუსახელებია, თუმცა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კოალიციის რამდენიმე ლიდერი ძალიან არის დაინტერესებული ახალი პარტიით.

როგორც ამბობენ, კოალიციიდან ეროვნული ფორუმის წასვლა უკვე საბოლოოდ არის გადაწყვეტილი. რესპუბლიკელები ჯერჯერობით უკანდასახევ გზას არ ჭრიან.

ოფიციალურად არავინ ადასტურებს, მაგრამ კულუარებში ამბობენ, რომ მათ სიაში 15 გამსვლელი ადგილი მოითხოვეს. ივანიშვილს ეს ხალხი კი ესიმპათიურება, მაგრამ არც ის სურს, რომ ბოლომდე თავისი გაატანინოს.

სწორედ მათ დასამუხრუჭებლად იქნა ის წესი მოფიქრებული, რომლითაც საარჩევნო სია დაკომპლექტდება.

ეს იდეა საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა, თამაზ მეჭიაურმა გააჟღერა. მეჭიაური ივანიშვილის კურსელია და ვარაუდობენ, რომ ეს ამბავი სწორედ მთავარი მეოცნებისგან მოდის.

მეჭიაურის განცხადებით, „ქართული ოცნება“ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის სიას სარეიტინგო გამოკითხვების მიხედვით შეადგენს.

მართალია, მეჭიაური ივანიშვილის ნდობით აღჭურვილ პირად ითვლება, მაგრამ ის იმ სავარაუდო სიაში არ ფიგურირებს, რომელიც მედიამ ამ დღეებში გამოაქვეყნა.

– მე არ ვფლობ პარტიულ თანამდებობას და არ ვმონაწილეობ ასე აქტიურად ამ საკითხების განხილვაში. მე მხოლოდ საპარლამენტო თანამდებობა მაქვს. აქედან გამომდინარე მე არ მაქვს ეს ინფორმაცია. მაქვს მხოლოდ მასმედიიდან. ვერც დავადასტურებ და ვერც უარვყოფ. ალბათ უმჯობესი იქნებოდა, იმ ხალხს ვკითხოთ, ვინც არიან ამ სიაში. ჯერ უნდა დავაზუსტოთ, სია ვისი გაკეთებულია. წყარო არ ვიცი ამ სიის. ვიდრე თავად ბიძინა ივანიშვილი არ დაადასტურებს, მანამდე მხოლოდ ვერსიებია, – აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში დეპუტატმა.

მისი აზრით, დიდი ტრაგედია არ იქნება, თუ ის საარჩევნო სიაში ვერ მოხვდება.

– თუ ჩათვლიან იმას, რომ მე სარგებლობა მომაქვს იმდენი, რამდენიც ერთ მანდატს სჭირდება, ალბათ ვიქნები სიაში და თუ უფრო მეტი სარგებლის მომტანი იქნება სხვა, მაშინ იქ სხვა იქნება, ლოგიკით ასე უნდა იყოს, – ამბობს მეჭიაური.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ამტკიცებს, რომ საპარლამენტო უმრავლესობაში ამ საკითხზე დეტალური საუბარი არ ყოფილა. ამასთან, „პირველ რადიოსთან“ ამბობს, რომ სიის შესადგენად სარეიტინგო კვლევები უნდა ჩატარდეს.



**თამაზ მეჭიაური: „დიპლომებით სახლში იმარიაჟონ“**

სად და როგორ უნდა ჩატარდეს ან როდისთვის უნდა დასრულდეს, ეს ჯერ არ იცის. სამაგიეროდ მიაჩნია, რომ სიების ასე შედგენა ბევრად სამართლიანი იქნება.

– სამართლიანად უნდა შედგეს სია. ყველამ უნდა მიიღოს ის, რაც მოაქვს პარტიისთვის და მაშინ უკვე აღარ იქნება არავის მხრიდან უკმაყოფილება. თუ კოალიციაზე ვსაუბრობთ, უნდა იყოს გათვალისწინებული, თუ რა წვლილს შეიტანს თითოეული სუბიექტი, – ამბობს დეპუტატი.

მისი თქმით, ამ წვლილის გაზომვა მოხდება იმ რეიტინგებით, რომლებიც რეალურად აქვს ამ სუბიექტებს.

– თუ მოხერხდა ზეპირი შეთანხმება, ეს ყველაზე უკეთესია, მაგრამ თუ ვერ მოხდა ზეპირი შეთანხმება და ზოგიერთ სუბიექტს არაპროპორციულად მეტი მოთხოვნა აქვს, გაიტანოს, ვიდრე შემოიტანოს კოალიციაში, მაშინ რჩება ერთადერთი გზა, ადრეც ვთქვი და ზოგიერთმა სხვანაირად გაიგო. ვისაც აქვს ზომაზე მეტი მოთხოვნა, იყაროს დამოუკიდებლად კენჭი და დაამტკიცოს, რომ მართლა იმსახურებს ბევრს, – აღნიშნა მეჭიაურმა.

მისი თქმით, 2012 წელს კოალიციაში შემავალ ყველა სუბიექტს ჰქონდა საშუალება, ფრაქცია გაეკეთებინა.

– დაახლოებით თუ ამ დოზით მოხდება განაწილება, მაშინ ალბათ ახლაც ექნებათ ფრაქციის გაკეთების გარანტია. და თუ ეს ვიღაცას არ დააკმაყოფილებს, ის მაინც უნდა მიიღოს, რომ ბარიერი გადალახოს. ბარიერის გადალახვა აუცილებელია, რომ ფრაქცია შექმნას. ყველას მიმართ მიდგომა უნდა იყოს ერთი. არ უნდა იყოს ვიღაც პრივილეგირებული, რომელიც ვიღაცის ხარჯზე წაიღებს მეტს, – აცხადებს უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი.

როგორც მოსალოდნელი იყო, მისი იდეა რესპუბლიკელებმა უარყვეს. მათ მიაჩნიათ, რომ საარჩევნო სია იმის მიხედვით უნდა შედგეს, ვის რა განათლება აქვს.

თამაზ მეჭიაურს განათლებული ხალხის მიმართ პრეტენზიები არ აქვს და არც დიპლომიანების მიმართ ილაშქრებს. რესპუბლიკელების საპასუხოდ ის აცხადებს, რომ მარტო განათლება არჩევნებზე ხმების მომტანი ვერ იქნება.

– ახლა რომ ავდგეთ და მარტო სხვადასხვა პრესტიჟული ინსტიტუტების დიპლომების მიხედვით გავაკეთოთ სია, ეს დიპლომები დარჩებათ ისე, თუკი უმრავლესობით ვერ მოვედით. კაბინეტებში გააკეთონ მერე სიგელები და იმარიაჟონ მაგითი, – აცხადებს თამაზ მეჭიაური.

◆ ◆ ◆

საინტერესოა, რომ ნაციონალებიც რეიტინგებით აპირებენ საარჩევნო სიების შედგენას. როგორც ამბობენ, მაჟორიტარების კანდიდატების გამოსავლენად, ისინი პრაიმერიზის ჩატარებას გეგმავენ.

კოალიცია „ქართული ოცნებისა“ არ იყოს, აქაც სერიოზული დაპირისპირებაა და პარტია რამდენიმე დაჯგუფებად არის გაყოფილი.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ემზარ კვიციანი: „პარლამენტში 138 ქალი უნდა იყოს“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ აპროტესტებს პარლამენტში 38 ქალის მოხვედრას, რა იმალება გენდერული თანასწორების დაცვის უკან, ვინ არღვევს სინამდვილეში ქალების უფლებებს, რა დაღუპავს ხელისუფლებას? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ კოდორის ხეობაში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებული ემზარ კვიციანი ესაუბრება.

***– სოციალურ ქსელებში თქვენ მიერ გამოქვეყნებულმა მოსაზრებამ დიდი ამბები გამოიწვია. ყველას აინტერესებს, რატომ არ უნდა ემზარ კვიციანს პარლამენტში ქალების ხილვა.***

– სად ვთქვი, ან სად დავწერე, რომ პარლამენტში ქალების ხილვა არ მინდა. მე ჩემი მოსაზრება 38 ქალთან დაკავშირებით დავაფიქსირე. გარკვეულმა ძალებმა დაგვიწესეს, რომ საკანონმდებლო ორგანოში რატომღაც 38 ქალი უნდა იყოს. აი, ამ დაწესების წინააღმდეგი ვარ, თორემ 38-ის კი არა, 138 ქალის მომხრე ვარ მე.

***– პარლამენტში 38 ქალის შეყვანა ვინ მოითხოვა?***

– არასამთავრობო ორგანიზაციები გამოხტნენ, აი ისინი, ყველაფერზე აზრს რომ ეკითხებიან. მათი განცხადებით, გენდერული თანასწორობა რომ დაცული იყოს პარლამენტში, თურმე 38 ქალი უნდა მოხვდეს. ერთით მეტი რომ შევიდეს, გადაცდომა იქნება და კაცების უფლებების დარღვევად ჩაითვლება.

ეს გავაპროტესტე მე და გულშიც არ გამივლია, რომ პარლამენტში ქალები არ უნდა მოხვდნენ. დარწმუნებული ვარ, ვიღაცები ანტიგენდერული განცხადებების გაკეთებაშიც დამადანაშაულებენ. ახლა არც თქვენ გამოიტანოთ მსგავსი რამე.

იმათ გასაგონად, ვინც ამ თემაზე სკანდალის აგორებას შეეცდება, წინასწარ მინდა ერთი განცხადების გაკეთება. ქართველი და, მით უმეტეს, სვანი კაცი გენდერული თანასწორობის წინააღმდეგი არასოდეს არ იქნება.

***– რატომ არ იქნება ქართველი და, მით უმეტეს, სვანი გენდერული თანასწორობის წინააღმდეგი?***

– იმიტომ, რომ საქართველოში ქალი ყოველთვის დაფასებული იყო. ასე რომ არ ყოფილიყო, თამარ მეფეს გაუშვებდნენ ქვეყნის მმართველად? ქალების მიმართ პატივისცემა ჩვენი დამახასიათებელი თვისებაა. სვანეთში კი ისინი განსაკუთრებულად იყვნენ დაფასებული.

ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში, როცა არასამთავრობოები საერთოდ არ არსებობდნენ და სიტყვა გენდერიც არ იყო გამოგონებული, სვანეთის მმართველი ქალი იყო. ასე რომ, ჩვენ გენეტიკურად გვაქვს სისხლში ქალების პატივისცემა გამჯდარი.

## „პარტიების საარჩევნო სიები მალე საზღვარგარეთ დაიწერება“

ქალების მიმართ უპატივცემულობას ძირითადად ისინი იჩენენ, ვინც ქალების ჩაგვრაზე საუბრობს. ყურადღება საზოგადოებას არც ლევან ბერძენიშვილის განცხადებაზე გაუმახვილებია, რომელმაც განაცხადა, ჩვენი პრობლემა ისაა, ნახევარი მილიონი რომ გვყავს გაუთხოვარიო. ასეთი რამე მე რომ მეთქვა, ხომ გამომაცხადებდით ქალების მტრად?! ბერძენიშვილს კი აპატიეთ, იმიტომ, რომ რესპუბლიკელია.

***– ამბავი როგორ არ ატყდა, უბრალოდ, მან განმარტა, გურული ვარ და ვიხუმრეო.***

– მაშინ მე სვანი ვარ და მეც ვიხუმრე. თუმცა არ მიხუმრია და ძალიან სერიოზული ვიყავი. მიმაჩნია, რომ დაუშვებელია წინასწარ იმის განსაზღვრა, რამდენი კაცი ან ქალი მოხვდება პარლამენტში.

ამ ჩემმა განცხადებამ ზედმეტად ანტიქალური ხასიათი რომ არ მიიღოს, კიდევ ერთ განმარტებას გავაკეთებ. ის ხალხი, რომლებიც პარლამენტში 38 ქალის შეყვანას გვთხოვს, ქალებზე საერთოდ არ ფიქრობს.

***– აბა, რაზე ან ვისზე ფიქრობენ?***

– ამ ვითომ გენდერული თანასწორობის უკან დიდი და მზაკვრული გეგმაა, რომელიც მალე გაიშიფრება.

***– რა გეგმაა, არ შეგიძლიათ ახლავე გვითხრათ?***

– გეტყვით. ძალები, რომლებიც დღეს საქართველოს გარედან აკონტროლებენ, ჩვეულებრივი ქალების შეყვანას კი არ მოითხოვენ პარლამენტში, არამედ იმათ გაუწევენ ლობირებას, ვინც მათი ინტერესების გამტარებელი იქნება.

დაიმახსოვრეთ, ცოტა ხანში პოლიტიკაში ქალების ჩართულობაზე არავინ ილაპარაკებს. უბრალოდ დადებენ სიას და გვეტყვიან, პარლამენტში ეს ხალხი უნდა შეიყვანოთო. აი, ესაა მთავარი პრობლემა და ამას სახელმწიფომ უნდა მიხედოს.

***– მაინც რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ?***

– ის, რაც სახელმწიფოს მოვალეობაა. არ უნდა დაუშვას, რომ სხვა ქვეყნებმა გადაიბირონ ჩვენი ახალგაზრდობა. ისინი განსაკუთრებით ჭკვიანი ბავშვებით არიან დაინტერესებული. საზ-



ღვარგარეთ სასწავლებლად თუ წავიდა ვინმე, მაშინვე მათთან იწყებენ მუშაობას, რომ ტვინი მოუწამლონ. გამოზრდიან ამ ახალგაზრდებს სათავისოდ და მერე დაგაძალებენ, პარლამენტში უნდა შეიყვანოო.

ანდა რატომ ვსაუბრობ მომავალზე, ახლაც ამ ფაქტების მომსწრეები არა ვართ? ამის კარგი მაგალითია კოალიცია „ქართული ოცნება“.

***– გინდათ თქვათ, რომ იქ ხალხი დაძალებით მოხვდა?***

– არა მგონია, ან რესპუბლიკელები, ან ალასანია ივანიშვილს საკუთარი სურვილით შეეყვანა. ისინი რატომღაც პროამერიკულად ითვლებიან, მაგრამ სინამდვილეში სხვა მხარეს გაურბით მზერა.

***– სხვა მხარეს საით?***

– იმ ქვეყნისკენ, რომელიც ჩვენი მტერია და რომელიც ამერიკასთან ერთად გვებრძვის. ეს ქვეყანა არის რუსეთი. თუ დავაკვირდებით, „ქართული ოცნების“ შიდა საქმეებში ამ 2 ქვეყნისგან უხეშ ჩარევას აქვს ადგილი.

***– შეგიძლიათ კონკრეტული მაგალითი მოიყვანოთ?***

– კი ბატონო, თავიდან ავტორიტეტული ადამიანების მეშვეობით ქმნიან ძლიერ პარტიას, შემდგომ უერთებენ უავტორიტეტო, მაგრამ მათთვის სასურველ პარტიებსა და კანდიდატებს, რათა ევაკუატორის როლი შეასრულოს ამ ავტორიტეტულმა პარტიამ უავტორიტეტოს პარლამენტში და ხელისუფლებაში გადასატანად, რათა შემდგომ საკუთარი ხალხისა და ქვეყნის საზიანოდ აამოქმედონ.

ამის შემხედვარეს მახსენდება სარაკეტო კომპლექსებით დატვირთული თვითმფრინავი. თვითმფრინავზე მიაბამენ რაკეტებს, რათა გადაზიდონ მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე, და იქ აამოქმედონ მის გასანადგურებლად.

აი, ასეთივე საქმე ჩაიდინა ბიძინა ივანიშვილმა, როდესაც რესპუბლიკელებ-ალასანია ხელისუფლებაში, ხოლო ნაციონალები ოპოზიციაში მოიყვანა. ამჟამად „ოცნებას“ აქვს უნიკალური შანსი დაამტკიცოს, ეს მისი ნებითი შეცდომა იყო თუ უნებლიე.

***– ეს როგორ უნდა დაამტკიცოს?***

– თუ ივანიშვილი „ოცნების“ კოალიციაში რესპუბლიკელებს და ალასანიას შეიყვანს, ეს იქნება ნებსითი შეცდომა. აქვე დავაზუსტებ, რომ როცა ალასანიას ვახსენებ, მარტო მას ვგულისხმობ და არა მის თანაპარტიელებს.

***– ეს რას ნიშნავს, კოალიციაში მათი შეყვანა არ იქნება შეცდომა?***

– მათი შეყვანა ძალიან კარგი იქნება. არც ერთ მათგანს არ ვიცნობ პირადად, მაგრამ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ.

***– რითი ტოვებენ კარგ შთაბეჭდილებას?***

– სიმპათიური ხალხია.

***– ალასანიაც სიმპათიურია.***

– ეს პოლიტიკურად სიმპათიურობაზე ვსაუბრობ. ალასანიასაც დიდ პატივს ვცემდი, მაგრამ კოდორთან რაც გააკეთა, მაგას ვერ ვპატიობ. მის თანაპარტიელებს ამ მხრივ ცოდვა არა აქვთ, თანაც არც ანტიქართულ განწყობას ვამჩნევ. განათლებული ხალხია და ისინი კოალიციას გამოადგებიან.

***– განათლება არც რესპუბლიკელებს აკლიათ.***

– სულ რესპუბლიკელების განათლებაზე მესმის საუბარი. ისე გამოდის, რომ საქართველოში მაგათ გარდა წიგნი არავის აქვს წაკითხული. მაგათზე ნაკითხი ხალხიც ვიცი, მაგრამ სახლში არიან და თავიანთი ცოდნით და ცოდვით არავის აწუხებენ. განათლებული ხალხი ნაციონალებშიც ბლომად არის და მაშინ ისინი შეიყვანონ საარჩევნო სიაში.

განათლება იმით არ იზომება, ვის რამდენი წიგნი აქვს წაკითხული. ადამიანი, რომელსაც ამაზე აქვს პრეტენზია, თავისი ქვეყნის პატრიოტი უნდა იყოს. რესპუბლიკელებისთვის ეს თვისება უცხოა.

მაინტერესებს, შეიყვანს თუ არა მათ ივანიშვილი. თუ ეს ადამიანი კიდევ ერთხელ ჩაუბამს ბუქსირს, ხალხს საბოლოოდ გაუცრუებს იმედებს.

რესპუბლიკელების და ალასანიას კიდევ ერთხელ მოყვანა დაადასტურებს, რომ ჩვენს საშინაო საქმეებში უხეშ ჩარევას აქვს ადგილი. ასე თუ გაგრძელდა, ცოტა ხანში პარტიების საარჩევნო სიები საზღვარგარეთ დაიწერება, ჩვენ კი გვეტყვიან, დემოკრატიისთვის ასეა საჭიროო.

# არჩილ გამზარდია: „მრეწველები „ოცნების“ სიაში არ უნდა იყვნენ“




გულიკო ბალაძე

საზოგადოებრივი კომუნიკაციების კვლევისა და მართვის ცენტრის ხელმძღვანელი და ანალიტიკოსი არჩილ გამზარდია „ახალ თაობას“ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე ესაუბრა.





## „არც ბიძინა ივანიშვილთან და არც პაატა ბურჭულაძესთან დეპუტატობაზე მოლაპარაკება არ მქონია“

***– ბატონო არჩილ, მომავალ საპარლამენტო სიასთან დაკავშირებით სხვადასხვა ვერსიები ვრცელდება. თქვენი აზრით, ამ პროცესში რა არის მნიშვნელოვანი?***

– ცოტა უაზრო აჟიოტაჟია. ჯერჯერობით, ცოტა გაურკვეველი პროცესებია. ჯერჯერობით, არც ერთი პოლიტიკური ძალა აქტიურ საარჩევნო კამპანიას არ ატარებს. იმედია, ნელნელა გამოერკვევიან და დაიწყებენ საზოგადოებასთან ურთიერთობას. სანამ ეს პოლიტიკური ძალები გაუგებრად პოზიციონერობენ, სახელისუფლებო პარტია საუბრობს იმაზე, როგორი უნდა იყოს საარჩევნო სია, სანამ სხვა პარტიები სახელისუფლებო ძალის ლანძღვით არიან დაკავებული და თვითონ არაფერს სთავაზობენ, მანამ ის წინასაარჩევნო კამპანიად ვერ ჩაითვლება.

***– ოპოზიციამ საზოგადოებას რა უნდა შესთავაზოს?***

– ოპოზიცია იქნება თუ პოზიცია, მნიშვნელობა არ აქვს. პოლიტიკური პარტია იმისთვის არსებობს, რომ შესთავაზოს ის შესაძლო შედეგები, რის მიღწევაც შეუძლია.

***– ერთადერთი, რაზეც დღეს ოპოზიცია საუბრობს, საარჩევნო კოდექსის გაჯანსაღების აუცილებლობაა.***

– ეს არის იაფი პოპულიზმი, რადგან საარჩევნო კოდექსი ამ საპარლამენტო არჩევნებისთვის შეუძლებელია შეიცვალოს. შეიძლება საარჩევნო კოდექსი სრულად ვერ აკმაყოფილებს შესაბამის სტანდარტებს, მაგრამ ამ კოდექსში ხელისუფლებამ გაზარდა პარამეტრები, შეამცირა გამსვლელი პროცენტის რაოდენობა, გარკვეული მოდერნიზება მოახდინა.

***– მუდმივად საუბრობენ ბიძინა ივანიშვილისა და ირაკლი ღარიბაშვილის კადრებზე ხელისუფლებაში, ჯერჯერობით, ახალი პრემიერის კადრებზე არ საუბრობენ. რატომ უკვირთ ხელისუფლებაში ბიძინა ივანიშვილის კადრების ყოფნა? რატომ უკვირთ მისი აქტიურობა წინასაარჩევნო პერიოდში?***

– ცოტა გაუგებარია ღარიბაშვილის კადრებზე საუბარი. ამაზე ოპოზიცია აკრიტიკებდა, მაგრამ თავის თავშივე წინააღმდეგობას მოიცავდა. ერთი მხრივ, აცხადებდნენ, რომ ბიძინა ივანიშვილი იყო ყოვლისმომცველი სუბიექტი, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი მის ჭკუაზე ყალიბდებოდა.

***– ასე არ იყო?***

– თუ ამას ჩავთვლით დასაშვებად, მაშინ შეუძლებელია ვინმეს თავისი კადრი ჰყოლოდა და ყველაფერს თავიდან ბოლომდე ყოვლისმომცველ დონეზე ბიძინა ივანიშვილი მართავდა. მეორე წინააღმდეგობრიობა, რაც ოპოზიციას ჰქონდა, არის ის, რომ ერთი მხრივ ირაკლი ღარიბაშვილს ეძახდა უნიათოს და ბიძინა ივანიშვილის ქვეშევრდომს, მეორე მხრივ აცხადებდა, რომ მას თავისი საკუთარი კლანური მმართველობა ჰქონდა. თუკი ყველაფერი ივანიშვილზე იყო დამოკიდებული, ბუნებრივია, ვერ იქნებოდა ვერანაირი ღარიბაშვილის კადრი და კლანი. ამიტომ ოპოზიცია ძალიან არაადეკვატურია ამ საკითხში.

გამზარდია ამბობს, რომ ივანიშვილი ღია და გამჭვირვალე ფორმით წარმოგვიდგება. ის არ მალავს თავის შეხედულებებს. ის შესაძლებლობების სუბიექტია, ზეგავლენის შესაძლებლობაც გააჩნია, ამიტომაც ვიღაცის კადრებსა და კლანებზე საუბრები სპეკულაციურია.

***– ივანიშვილი რატომ არ წარმოდგება, ვთქვათ, პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარედ, თანათავმჯდომარედ, ან საპატიო თავმჯდომარედ. ამით ოპოზიციას სალაპარაკოს არ მოუსპობს?***

– სამოქალაქო საზოგადოება იმას ნიშნავს, რომ სამოქალაქო სექტორი მაქსიმალურად არის ჩართული

გაგრძელება მე-5 გვერდზე

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

Სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ადვოკატი კორკოტაძე: „პოპოვი სუს-მა მოგვიგზავნა“

**გუშინ, 20 იანვარს, ბიძინა კუჭავას ოჯახის ადვოკატმა ნათია კორკოტაძემ პრესკონფერენცია გამართა.**
**– პროკურორ ვახტანგ ქირიასა და ბიძინა კუჭავას გარდაცვალება წინასწარ დაწერილი სცენარია, – განაცხადა მან.**
**ადვოკატმა აღნიშნა, რომ დავით პოპოვი, რომელიც, გამოძიების ინფორმაციით, ბიძინა კუჭავას თვითმკვლელობის მომენტში მასთან ერთად ავტომობილში იმყოფებოდა, 19 იანვარს სუს-მა კუჭავას ადვოკატებთან მიაგზავნა.**


ნათია კორკოტაძე


არჩილ თალაკვაძე: „ეს უსაფუძვლო ჭორია“

კერძოდ, ნათია კორკოტაძის თქმით, დავით პოპოვი თავად დაუკავშირდა კუჭავების ოჯახს და სთხოვა, რომ ადვოკატებთან შეხვედრაში დახმარებოდა.

– ამის შემდეგ მე მომცეს ოჯახის წევრებმა მისი ნომერი, გადავურეკე პოპოვს და ვთხოვე შეხვედრა. დრო რამდენჯერმე შეიცვალა, საბოლოოდ დილომში, მაიაკოვსკის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე შევთანხმდით, – განაცხადა ნათია კორკოტაძემ.

მისი თქმით, პოპოვს პალტო შეხსნილი ჰქონდა, სადაც ადვოკატმა ზონრები დაინახა და უთხრა პოპოვს, რომ მას ჩამწერი მოწყობილობა ჰქონდა დამონტაჟებული.

– მან ეს უარყო და პალტო შეიკრა. შემდეგ დავინახე, პერანგის ღილზე როგორ ჰქონდა ვიდეოთვალი. იგი გვეუბნებოდა მე და ჩემს კოლეგებს, რატომ დამიბარეთო. მე მას ვუთხარი, რომ შეხვედრის ორგანიზატორი თავად იყო, თუმცა უხეში ტონით ამბობდა, რატომ დამიბარეთო. მანამდე კი, სანამ მოვიდოდა, მითხრა, რომ იყო საბურთალოზე და მაშინვე ვიეჭვე, რომ იგი სუს-ის შენობაში იმყოფებოდა, – განაცხადა ნათია კორკოტაძემ.

ადვოკატის თქმით, თუკი დავით პოპოვი ადვოკატებთან შეძლებდა ფარული ჩანაწერის მომზადებას, იგი ამას სუს-ში მიიტანა და შესაძლოა ადვოკატების მიმართ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხიც დამდგარიყო, თითქოს მათ პოპოვზე ზემოქმედება ან ზეწოლა მოახდინეს.

რაც შეეხება დადგმული სცენარის ნაწილს, ადვოკატმა განმარტა, რომ არ შეიძლება შს მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძეს და ზოგადად გამოძიებას ზედმიწევნით სცოდნოდა, როგორ მოკლა ვახტანგ (პაატა) ქირია ბიძინა კუჭავამ აბაზანაში, შემდეგ როგორ დაცალა სისხლისგან და როგორ გამოიყენა ამ ყველაფრისთვის ე.წ. ბარგალკა, რომელმაც შემდეგ თითი დაუზიანა.

– ეს დეტალები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება სცოდნოდათ მათ, თუკი ბინაში, სადაც ქირია მკვდარი იპოვეს, დამონტაჟებული იყო ვიდეოთვალი ან ამ ყველაფერს ესწრებოდა პოპოვი. ასეთ შემთხვევაში პოპოვის და მისი მეუღლის მიმართ მინიმუმ დანაშაულის დაფარვისთვის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს, – განაცხადა ნათია კორკოტაძემ.

ადვოკატის თქმით, უამრავი შეკითხვა არსებობს თუნდაც იმასთან დაკავშირებით, რომ პაატა ქირიას სახელი უკავშირდება ე.წ. კასრების საქმეს.

რაც შეეხება დავით პოპოვის მიერ გუშინ ნახსენებ გოჩა კუჭავას, ნათია კორკოტაძემ მისი ვინაობაც განმარტა და აღნიშნა, რომ გოჩა კუჭავა არის ბიძინა კუჭავას ბიძაშვილი, რომელიც მოსკოვში ცხოვრობს და რომელიც ერთ-ერთი იყო, ვისაც კუჭავა გარდაცვალების დღეს ესაუბრა.

გუშინვე თბილისის პროკურატურაში ქალაქის მთავარი პროკურორი ბიძინა კუჭავას ადვოკატ ნათია კორკოტაძეს და ექსპერტ მაია ნიკოლეიშვილს შეხვდა.

ადვოკატმა ნათია კორკოტაძემ შეხვედრის შემდეგ არ გამორიცხა, რომ დავით პოპოვის პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს.

მისი თქმით, ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ დადგინდება, რომ პოპოვმა დანაშაული დამალა.

– რაც შეეხება პოპოვს, გამიჩნდა კითხვა, იქიდან გამომდინარე, რომ კუჭავა იმყოფებოდა მის კუთვნილ მანქანაში და ამ ავტომანქანაში მოხდა თვითმკვლელობა, რატომ არ არის დაკავებული. თუნდაც დანაშაულის გაუფრთხილებლობის ან დამალვის მუხლით. თუ გამოიკვეთება ის მომენტი, რომ მან დამალა დანაშაული და იცოდა საქმის ვითარება, არ არის გამორიცხული, პოპოვის პასუხისმგებლობის საკითხიც დადგეს, – განაცხადა ადვოკატმა.

გამოძიების ვერსიით, ბიძინა კუჭავა თვითმკვლელობის დროს პოპოვების ავტომობილში იმყოფებოდა.

დავით პოპოვმა ჟურნალისტებთან გუშინ მცირე კომენტარი გააკეთა და დაადასტურა, რომ კუჭავამ თავი მოიკლა.

მისივე ინფორმაციით, ბიძინა კუჭავა სულ ორჯერ ჰყავდა ნანახი.

◆ ◆ ◆

ბიძინა კუჭავას ყოფილი მეუღლე მაია კუჭავა აცხადებს, რომ ბრალდებული „ამ სცენარით ნამდვილად არ იმოქმედებდა.“

მაია კუჭავა გამორიცხავს, რომ მისმა ყოფილმა ქმარმა პროკურორი ვახტანგ ქირია მოკლა და შემდეგ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

## მაია კუჭავა: „ბიძინა ამას არ გააკეთებდა“

– ახლა ჩემთვის ძალიან მძიმე დღეებია. არანაკლები, ვიდრე მქონდა 2006 წლის იანვარში. სწორედ ამიტომ მინდა მოგახსენოთ ჩემი პოზიცია და გამოვთქვა ჩემი გულისტკივილი, – აცხადებს მაია კუჭავა.

ის ამბობს, რომ ბიძინა კუჭავა იყო ადამიანი, რომელთანაც აკავშირებს მთელი ცხოვრება, რომელთანაც აკავშირებს შვილები და, საერთოდ, ყველა და ყველაფერი.

– ჩვენ მრავალი წელი ვცხოვრობდით ერთად და დარწმუნებული ვარ იმაში, რომ საკუთარ თავზე მეტად ვიცნობდი. ბიძინა კუჭავა იყო საკმაოდ ძლიერი და ჭკვიანი პიროვნება და ის ამ სცენარით არავითარ შემთხვევაში არ იმოქმედებდა.

ამიტომაც, ჩემთვის მიუღებელი და დაუჯერებელია ეს ყველაფერი. პირადად მე ამის არ მჯერა, დანარჩენი კი თქვენთვის მომინდვია გასასჯელად. აქვე, გულწრფელად მინდა მივუსამძიმრო ბატონ ვახტანგ ქირიას ოჯახს და ღრმა მწუხარება გამოვთქვა მომხდარის გამო, – აღნიშნავს ბრალდებულის ყოფილი მეუღლე.

◆ ◆ ◆

გუშინვე შს მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძე გამოეხმაურა ბიძინა კუჭავას ოჯახის წევრების და ადვოკატების განცხადებებს.
მისი განცხადებით, უდანაშაულობის პრეზუმპცია მას არ დაურღვევია.

– საზოგადოებას ვუთხარი პასუხი შეკითხვებზე, რომლებიც დაისვა ჩვენ მიმართ. უდანაშაულობის პრეზუმპცია არ დარღვეულა. უდანაშაულობის პრეზუმპციის დაცვის ვალდებულება ბრალდების მხარეს არ აქვს, მისი ვალდებულებაა, ამტკიცოს ბრალეულობა, – განაცხადა თალაკვაძემ.

იგი ასევე უსაფუძვლო ჭორს უწოდებს ადვოკატების განცხადებას, რომ მათ დავით პოპოვი შსს-მ და სუს-მა მიუგზავნა.

– უსაფუძვლო ჭორია. ამის დადასტურება არ შემიძლია, – განაცხადა თალაკვაძემ.

# პოპოვი: „ბიძინა კუჭავამ მე და ჩემი ცოლი გადაგვარჩინა“

## მოწმე 17 იანვრის ღამეს იხსენებს

გუშინ, 20 იანვარს, „მაესტროს“ ეთერში დავით პოპოვმა 17 იანვრის ღამეს გაიხსენა.

მისი თქმით, პირველად ბიძინა კუჭავას 30 დეკემბერს შეხვდა. ის საქართველოში ჩამოფრინდა თბილისი-მოსკოვის რეისით 28 დეკემბერს.

– მე მოსკოვში მყავს მეგობარი, რომელმაც მითხრა, რომ უნდა შევხვედროდი ბიძინა კუჭავას. ბიძინას ჰქონდა ბიზნეს პროექტი შესათავაზებელი და უნდა გამერკვია, რა ბიზნეს პროექტი ჰქონდა. 30-ში შევხვდი ბიძინას, დათქმულ ადგილას გლდანში, მოვუსმინე. მას ჰქონდა ბიზნეს პროექტი აფრიკაში, რისთვისაც საჭირო იყო დიდძალი თანხა, 780 ათას დოლარამდე. ჩემთვის და ჩემი მეგობრისთვის ეს პროექტი მიუღებელი იყო და უარი ვუთხარი, – განაცხადა პოპოვმა.

მისივე თქმით, ამის შემდეგ, 16 იანვარს, ღამის 12 საათზე დაურეკა მეგობარმა გოჩა კუჭავამ მოსკოვიდან, უთხრა, რომ მას დაურეკა ბიძინა კუჭავამ და დახმარება სთხოვა.

– ჩემმა მეგობარმა მთხოვა, შეხვდი და გაიგე, რა პრობლემა აქვს და თუ შეგეძლება, დაეხმარეო. ნომერიც მომცა. გადავრეკე ბიძინასთან და მითხრა, ნახევარ საათში შევხვდეთო გლდანში. შევხვდით ისევ იმ ადგილას გლდანში, სადაც ადრე. მანქანა დავქოქე და წავედი. გადმოვიდა ტაქსიდან და ჩამიჯდა მანქანაში. წავიყვანე სახლში. სახლში რომ მივიყვანე, ვკითხე, რა პრობლემები ჰქონდა. მითხრა, რომ აქვს პრობლემა და ერთი დღე აქვს დრო და ქვეყნიდან უნდა წავიდეს, – განაცხადა პოპოვმა.

მისივე განმარტებით, ბიძინა კუჭავას ბილეთი არ ჰქონდა და მას სთხოვა თვითმფრინავის ბილეთის ფული. როგორც პოპოვმა აღნიშნა, კუჭავას ჰქონდა 160 ლარი, თვითონ პოპოვს – 250 ლარი, დანარჩენი საჭირო თანხა კი გამოიტანა „ევროპაბეთიდან“, რომელიც ფილარმონიასთან მდებარეობს.

როგორც პოპოვმა აღნიშნა, მერსედესის თეთრი ჯიპი მეუღლეზეა გაფორმებული და მეუღლეც წაიყვანა, გამომდინარე იქიდან, რომ გზები არ იცოდა.

მისი თქმით, კუჭავა მანქანის უკანა მხარეს ჩაჯდა და წავიდნენ აეროპორტისკენ, თუმცა სანაპიროზე ისინი პატრულმა გააჩერა.



– მოვიდა ერთ-ერთი თანამშრომელი და მომთხოვა საბუთები, რაც მივაწოდე. 2 წუთში უკან დაბრუნდა მეორე თანამშრომელთან ერთად და მომთხოვეს მანქანაში მსხდომების საბუთები. როდესაც ვუთხარი, ბიძინა, საბუთებს ითხოვენ, მიეცი-მეთქი, მან უკანა შუშა ჩასწია და მიაწოდა.

როგორც კი გასცდნენ მანქანას პატრულის თანამშრომლები, შავი ჯიპებით მოცვივდნენ, გადმოვიდნენ შეიარაღებული ხალხი, რომლებმაც დაიწყეს ყვირილი, რომ ვართ პოლიციის თანამშრომლები, ხელები აწიეთ და გადმოდით მანქანიდანო. ამ აურზაურში ჩემს მანქანაში გაისმა გასროლის ხმა. გავიხედე და დავინახე სისხლიანი კაცის თავი. 5 წუთში უკვე ვიყავი პატრულის მანქანაში. ერთადერთი დავინახე, რომ მეუღლე ცალკე გადაჰყავდათ, – განაცხადა პოპოვმა.

---

დავით პოპოვმა კუჭავას ოჯახის ადვოკატებთან შეხვედრა დაადასტურა.

მანვე უარყო ინფორმაცია, რომ ამ შეხვედრას ფარული კამერით იღებდა. მან არც ის ინფორმაცია დაადასტურა, რომ კუჭავას ოჯახის ადვოკატებთან შეხვედრა მისი ინიციატივით შედგა.

– არაფრის ინიციატორი არ ვყოფილვარ. გუშინ დამირეკა ჩემი მეგობრის შვილმა, ვაჟა ჩიკვილაძემ და მითხრა, რომ ბიძინას შვილს და ადვოკატს სურს შენი ნახვა და აინტერესებდათ სახლის მისამართიო. ამაზე მე მომენტალურად ვუთხარი უარი, რომ არავის არც ტელეფონი მისცე, არც მისამართი მისცე და არავისთან შეხვედრა არ მსურს-მეთქი, – განაცხადა პოპოვმა.

კითხვაზე, ადვოკატები ამბობენ, რომ დავით პოპოვს ეცვა სპეციალური პერანგი, რომელიც მხოლოდ სუს-ის თანამშრომლებს აცვიათ, მან განაცხადა, რომ ის არც სუს-ში მუშაობს, არც პროკურატურაში და არც ერთ ძალოვან სტრუქტურას არ ეკუთვნის.

– მე ვიმყოფები 1993 წლიდან რუსეთის ფედერაციაში, ვარ რუსეთის მოქალაქე და საქართველოში ჩამოვდივარ იმიტომ, რომ აქ დედა მყავს შეუძლოდ, – განაცხადა პოპოვმა.

ის ირწმუნება, რომ ფარული კამერა არ ჰქონდა და მხოლოდ ხმას იწერდა საკუთარი ტელეფონით, ისიც იმიტომ, რომ პროვოკაციას ელოდა.

– რა სპეციალური პერანგი, ეს საერთოდ რა არის, არ ვიცი. რაც შეეხება ჩაწერას, ვიწერდი ჩემი მობილური ტელეფონით ხმას, არ ვიღებდი, – განმარტა დავით პოპოვმა.

დავით პოპოვი აცხადებს, რომ ბიძინა კუჭავამ ის და მისი მეუღლე გადაარჩინა.

– მაგას რომ მანქანიდან ესროლა, ამას შეიძლება ძალიან ცუდი რაღაც მოჰყოლოდა, – განაცხადა პოპოვმა.

# ზურაბ აბაშიძე: „კოალიციაში ჩვენი დაბრუნება გამორიცხულია“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

მხრიდან. ჩვენ ვიყავით კოალიციაში და დავტოვეთ კოალიცია გარკვეული მიზეზების გამო და ეს მიზეზები საზოგადოებისთვის უკვე ცნობილია. ჩვენ ამ არჩევნებში ვიბრძოლებთ დამოუკიდებლად, ეს არის ჩვენი პოლიტიკური ძალის განაცხადი.

***– ითქვა, რომ ზალკალიანის თემამაც გააჩინა კითხვის ნიშნები თქვენი კოალიციაში შესაძლო დაბრუნების თაობაზე.***

– დათო ზალკალიანი არის ჩემი მეგობარი. დათომ ჩვენი პარტია დატოვა რამდენიმე თვის წინ. ის წავიდა არასამთავრობო სექტორში. ამ პერიოდში მუშაობდა დამოუკიდებლად. პარტიასთან მას შეხება აღარ ჰქონდა. როდესაც მთავრობაში რეალურად შეიცვალა სიტუაცია, ახალი პრემიერი, ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი, დათომ მიიღო შემოთავაზება, რაზეც დათანხმდა და მას წარმატებას ვუსურვებ. ეს არ არის პარტიის გადაწყვეტილება. ეს იყო ინდივიდუალური გადაწყვეტილება.

***– თქვენ საუბრობთ კონსტრუქციულ თანამშრომლობაზე, თუმცა გაზპრომის თემასთან დაკავშირებით რადიკალური პოზიცია გაქვთ. ასეა?***

– კი. გაზპრომთან დაკავშირებით იმიტომ გვქონდა ასეთი რადიკალური დამოკიდებულება, რომ ბევრი რაღაცა არ არის ნათელი საზოგადოებისთვის. არ შეიძლება საზოგადოებას დაუმალო ის, რაც პირდაპირ საზოგადოების ინტერესს წარმოადგენს.

***– ამ შემთხვევაში რა აინტერესებს საზოგადოებას?***

– ხალხს აინტერესებს, გაზი გაძვირდება თუ არა, იქნება თუ არა დეფიციტი, შეგვეზღუდება თუ არა გაზის მოწოდება?! ჩვენ ვითხოვთ, რომ ხელისუფლებამ ამაზე საუბარი ღიად და მკაფიოდ დაიწყოს.

კალაძის გამოსვლამ ბევრ რაღაცას პასუხი გასცა. მან პირველ რიგში რაც აღნიშნა, იყო ის, რომ ის ტენდენციები, რაც დღეს არის, წინა ხელისუფლებისგან მომდინარეობს. ის, რომ ჩვენ გაზს ვიღებდით ნატურით და არ ვიხდიდით საფასურს, ეს არის ყველაზე მომგებიანი სიტუაცია ჩვენი ქვეყნისთვის.

***– თუმცა გაზპრომს სხვა პირობები აქვს.***

– დიახ. თურმე გაზპრომს აღარ უნდა, რომ საფასური ნატურის სახით მოგცეს. მას სურს, რომ მომსახურების საფასური გადაიხადოს და ამის შემდეგ მიაწოდოს სომხეთს გაზი. ეს ჩვენთვის არ არის მომგებიანი, მაგრამ რუსეთს შეუძლია ალტერნატიული გზითაც მიაწოდოს სომხეთს გაზი და ეს ჩვენ დაგვაზარალებს. ამ ყველაფერზე კი უნდა იყოს ხმამაღლა მსჯელობა. ამაზე თავიდანვე უნდა გამოსულიყო ხელისუფლება და აეხსნა მოსახლეობისთვის, რასთან გვაქვს საქმე და რის გაკეთებას აპირებს.

***– ანუ თქვენი პრეტენზია იმაში მდგომარეობს, რომ უფრო ნათელი გახდეს ეს პროცესი?***

– რა თქმა უნდა. ჩვენ გვაინტერესებს, რა გეგმები აქვს ხელისუფლებას, რას ითხოვს გაზპრომი. გაზპრომი არის პუტინის კომპანია, რომელიც ამ თემას ძალიან სერიოზულ ბერკეტად იყენებს. ევროპას უჭირს ამასთან გამკლავება და საქართველო როგორ უნდა გაუმკლავდეს?! ხელისუფლება რაც უფრო ღიად და გულწრფელად ისაუბრებს ამ საკითხებზე, ეს უკეთესია. თუ იქნება ამ ყველაფერზე სწორი დამოკიდებულება, მე დავუჭერ ამას მხარს.

***– არჩევნები ახლოვდება, დიდი ამბებია სიებთან დაკავშირებით, ასევე საუბრობენ, რომ სახელისუფლებო გუნდში განხეთქილებაა. ამ კუთხით სიურპრიზები ხომ არ გველის?***

– როგორც პოლიტიკოსს, რა თქმა უნდა, მაინტერესებს ხელისუფლებაში მიმდინარე პროცესები, მაგრამ ამ ბოლო პერიოდში ნაკლებად ვინტერესდები, რადგან კოალიცია ვერ შედგა, როგორც ერთიანი პოლიტიკური ძალა. საკმაოდ ეკლექტურია, განსხვავებული მოსაზრებებით. კოალიცია რომ შეიქმნა, მისი მიზანი იყო ბრძოლა უსამართლობასთან და სისხლიან რეჟიმთან. მაშინ ეს ერთობა და ეს ეკლექტიკა მისაღები იყო საზოგადოებისთვის.

***– რა ხდება დღეს?***

– დღეს უკვე განსხვავებული რეალობა გვაქვს. ყველა ვგრძნობთ საზოგადოების განწყობებს და დამოკიდებულებებს. ამ კოალიციას ისეთი ნდობა აღარ აქვს. მისი რეიტინგი ქვევით მიდის. აქ არიან გაერთიანებული განსხვავებული ღირებულებების და პოლიტიკური გემოვნების ადამიანები. რის წინააღმდეგ, ეს მე არ ვიცი.

ჩვენც ვიყავით კოალიციაში და გეტყვით, რომ ძალიან რთული პროცესია – სიები, კვოტების თემა, უამრავი საკითხია და ეს ჩემი ინტერესის თემას აღარ წარმოადგენს. მათი პრობლემაა და მე ნამდვილად ვერ ვიქნები ამ პროცესის გულშემატკივარი.

რთული პროცესები ელის კოალიციას წინ. ყველანაირად ეცდებიან, ეს საკითხები არ გამოიტანონ გარეთ, მაგრამ არაფერი იმალება. ამ მიმართულებით, არ არის გამორიცხული, ბევრი სიურპრიზი ვიხილოთ.

# ჯაბა სამუშია: „თბილისში ევროსტანდარტის ავტობუსების შემოყვანა იგეგმება“

ნათია ხურცილავა



**თბილისის საკრებულოს „ქართული ოცნების“ დეპუტატი ჯაბა სამუშია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ნაციონალური მოძრაობის ინიციატივას აფასებს. ნაციონალები დედაქალაქის ავტოპარკის განახლებასა და დაბალანაზღაურებადი სამსახურების თანამშრომლებისთვის ხელფასების გაზრდას ითხოვენ.**

**ჯაბა სამუშია:**

– დეკემბრის მიწურულს ნაციონალური მოძრაობა აცხადებდა, რომ ბიუჯეტში 140-150 მილიონი ლარი რჩებოდა დაუხარჯავი თანხა. დღეს აღმოჩნდა, რომ მხოლოდ 30 მილიონი ლარი რჩება აუთვისებელი თითქმის მილიარდიანი ბიუჯეტიდან. მათ საზოგადოება მოატყუეს. რაც შეეხება ამ 30 მილიონს, ეს არ არის აუთვისებელი, რადგან ის გადადის მომავალ ბიუჯეტში და ამ თანხასაც თავისი მიზნობრიობა გააჩნია.

***– ისინი ავტოპარკის განახლებას ითხოვენ, ახალი ავტობუსები რატომ არ შემოჰყავს მერიას თუ ბიუჯეტში თანხები რჩებათო. რას უპასუხებთ?***

– თბილისს წელს აუცილებლად ეყოლება განახლებული ავტოპარკი. ამის შესახებ დედაქალაქის მერმა განცხადება გააკეთა. ავტობუსების განახლება გაცილებით ძვირი დაგვიჯდება, ვიდრე თავის დროზე ნაციონალურ მოძრაობას დაუჯდა. ამ ხნის მანძილზე ჩვენი მოსახლეობა მათ „ბოგდანებით“ ატარეს. უკრაინული წარმოების ავტობუსებს ვგულისხმობ. იმის შემდეგ ამ ტიპის ავტობუსები უკრაინაში არ გამოსულა. ეს ავტობუსები არ აკმაყოფილებდა არც მაშინ ევროსტანდარტს და არც დღეს აკმაყოფილებს. ჩვენი მთავარი მიზანია, თბილისს ჰყავდეს ევროსტანდარტის ავტობუსები.

***– საიდან შემოიყვანთ და როდის?***

– კონკრეტულად ვერ გიპასუხებთ, საიდან შემოიყვანენ, რადგან ტენდერი უნდა ჩატარდეს და კომპანიამ უნდა გაიმარჯვოს, რომელიც სწორედ ამაზე იზრუნებს და ჩამოიყვანს ევროსტანდარტის ავტობუსებს.

***– შემოყვანილი ავტობუსები დააკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს და იქნება თუ არა ევროპული ტიპის ავტობუსები?***

– ნამდვილად იქნება მაღალი კლასის, ევროსტანდარტის ავტობუსები. თბილისის ქუჩებში ივლის ის ავტობუსები, რომლებიც დადის ევროპის დედაქალაქებში. თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი და სრულად ადაპტირებული.

***– ნაციონალური მოძრაობა ხელფასების მომატებაზეც საუბრობს. ამ მიმართულებით იგეგმება რამე?***

– ნაციონალური მოძრაობა ამბობს, რომ უნდა მოვუმატოთ ხელფასები. აღმოჩნდა, რომ ეს გათვალისწინებულია ბიუჯეტში. მაგალითად, საბავშვო ბაღის მასწავლებლებს ხელფასები გაეზრდებათ. როგორც ჩანს, ეს არ იცოდნენ და ახლა ხელფასების მომატებას სხვა მიმართულებით ითხოვენ.

აუცილებელია, რომ ხელისუფლებამ დაიწყოს ზრუნვა დაბალანაზღაურებადი თანამშრომლებისთვის ხელფასების მომატებაზე. ჩვენ ყველას გვინდა, რომ რაც შეიძლება დიდი ბიუჯეტი ჰქონდეს თბილისს, რომ ყველა მოსამსახურე იყოს ადეკვატურად ანაზღაურებული, მაგრამ ბიუჯეტი 815 მილიონია. ამ რესურსიდან უნდა გამოვიდეთ.

არ მგონია, იყოს ვინმე ჭკუათმყოფელი, ვისაც თანამშრომლებისთვის ხელფასების მომატება არ უნდოდეს, მაგრამ ამაზე საუბრობს ის პოლიტიკური ძალა, რომელიც მაღალ ანაზღაურებას თავისი აგიტატორებისთვის იმეტებდა მხოლოდ. ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს სამი მეეზოვის ერთად აღებული ხელფასი ჰქონდა მათ მხოლოდ ერთ აგიტატორს. ნაციონალური მოძრაობის აგიტატორებისთვის გადახდილი თანხა თავის დროზე ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას რომ მოხმარებოდა, მაშინ ასეთი პრობლემები არ დაგროვდებოდა თბილისში. 17 მილიონამდე ლარი არის საჭირო ნაგავსაყრელის მოწესრიგებისთვის, რატომ არ გააკეთდა?!

***– თქვენ ამბობთ, რომ ნაციონალური მოძრაობის ინიციატივა მხოლოდ პოლიტიკური გათვლაა?***

– ისინი პიარის გზით ცდილობენ ქულების დაწერას და მეტი არაფერი, მაგრამ ეს ის სფეროა, სადაც ისინი ქულებს ვერასდროს მოიპოვებენ.

***– თუმცა, ისინი ამბობენ, რომ მათ აქვთ ქალაქის მართვის გამოცდილება, „ქართული ოცნებისგან“ განსხვავებით და მათი გამოცდილების გაზიარებას გთხოვენ.***

– კარგი საქმის გაკეთების გამოცდილება თუ აქვთ, ეს არის საკითხავი. მათი ინიციატივა ხელფასების მომატებასთან დაკავშირებით მხოლოდ იმ სამსახურების თანამშრომლებს ეხებათ, სადაც მათი რაოდენობა დიდია, ისინი არაფერს ამბობენ მცირერიცხოვანი სამსახურების თანამშრომლებზე. მათზე არ შესტკივათ გული?! ამიტომ ვამბობ, რომ ეს არის პოლიტიკური პოპულიზმი და სხვა არაფერი.

როდის ფიქრობდა ნაციონალური მოძრაობა საბავშვო ბაღის მასწავლებლებზე, როდესაც მათ უმუშევრად ქუჩაში ტოვებდა, როდესაც ბაღებს ასხვისებდა და დაახლოებით 40-ზე მეტი საბავშვო ბაღი დაიხურა?! ერთ-ერთ საბავშვო ბაღში ნაციონალური მოძრაობის ოფისი გახსნეს. წელს 7-დან 10-ამდე ახალი საბავშვო ბაღის აშენებაა გათვალისწინებული.

## „ნაციონალური მოძრაობის ინიციატივა პოპულიზმია და სხვა არაფერი“



***– ისინი რიტორიკას უწუნებენ ნარმანიას და ამბობენ, რომ სუსტი მერია და ვერ მართავს თბილისს. ამაზე რას იტყვით?***

– დედაქალაქის მერს ამბიციურობას და ყოყლოჩინობას ნამდვილად ვერ დააბრალებ, მათი მიზანია, თავიანთი გაფუჭებული დღევანდელ მთავრობას გადმოაბრალონ. ამის ნათელი მაგალითია სკოლა „ოლიმპის“ სტადიონის გასხვისება. ყველა ის პრობლემა, რომელიც დღეს გვაქვს, შეუძლებელია, ამ ერთ წელიწადში დაგროვილიყო. ბუნებრივია, ვერც 40 ბაღი გასხვისდებოდა ერთ წელიწადში და ვერც ამდენი გზა გაფუჭდებოდა, ვერც ამდენი ავტობუსი გაფუჭდებოდა ამ ერთ წელიწადში.

***– ბატონო ჯაბა, დავით ნარმანიას ინერტულობაზე ივანიშვილიც კი საუბრობდა. თქვენ ხართ კმაყოფილი მერის მუშაობით? უნდა შეცვალოს თუ არა დედაქალაქის მთავრობამ ტაქტიკა?***

– არსებობს საკითხები, რომელთაც დედაქალაქის მთავრობა საკმაოდ თანმიმდევრულად მიჰყვება, მაგრამ არის საკითხები, სადაც ვისურვებდი, რომ ტემპი იყოს დაჩქარებული, ან იყოს რადიკალური გადაწყვეტილება.

***– კონკრეტულად?***

– ზოგიერთ ტენდერთან დაკავშირებით, თავის დროზე რადიკალური გადაწყვეტილება რომ ყოფილიყო მიღებული, დღეს ეს პრობლემა არ გვექნებოდა. ტემპი დასაჩქარებელია და ამაზე ჩვენ ვსაუბრობთ. ძნელია, საზოგადოებას აუხსნა, მაგალითად, თევდორე მღვდლის ქუჩა რატომ არის ამდენ ხანს გადათხრილი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სახეზეა უამრავი პრობლემა და მათ ვერ მიაფუჩეჩებ, უბრალოდ, ზემოდან ასფალტის საფარს ვერ გადააგებ. ასევე კონტრაქტორმა კომპანიამ ვერ შეასრულა დაკისრებული მოვალეობა და დაჯარიმდა.

მიუხედავად ამისა, საზოგადოება დისკომფორტს გრძნობს და საჭიროა მეტი მოქნილობა და სისწრაფე. რაც შეეხება კორუფციაზე საუბარს, ეს სრული სისულელეა, რადგან აქამდე მათ ვერც ერთი ფაქტი ვერ დაასახელეს გარდა იმ საქმისა, რომელიც პროკურატურას არის გადაცემული და რომელსაც პროკურატურა იძიებს.

# არჩილ გამზარდია: „მრეწველები „ოცნების“ სიაში არ უნდა იყვნენ“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

გადაწყვეტილების მიღებაში. როდესაც ქვეყანაში საპატიო და ავტორიტეტული პირები მოსაზრებებს გამოხატავენ და ამას ითვალისწინებს ხელისუფალი, ესეც სავსებით ნორმალური პროცესია.

***– „ოცნების“ ერთმა წევრმა არ გამორიცხა დღევანდელი მმართველი კოალიციის დაშლა და საპარლამენტო არჩევნებზე ცალკე გამოსვლა.***

– არჩევნებამდე 8 თვეა დარჩენილი. ამიტომ ახლა პოლიტიკური სუბიექტების გრანდიოზული ორგანიზაციული ცვლილებები არასწორი იქნება. ასეთ შემთხვევაში საზოგადოება უფრო მეტად დეზორიენტირებული რჩება და საკუთარი პოლიტიკური პოზიციის ჩამოყალიბება გაუჭირდება.

თანაც ბოლო სამი წლის განმავლობაში ჩატარებულ არჩევნებში საზოგადოება საერთო ჯამში მაინც ივანიშვილს უჭერდა მხარს და არა იმ სუბიექტებს, რომლებიც იყვნენ წარმოდგენილი. თუ ივანიშვილი მათ რეკომენდაციას გაუწევს, მაინც მისცენ ხმა, ესეც არასწორი პროცესი იქნება.

***– რესპუბლიკელებზე ითქვა, თუ კოალიციიდან გავლენ, სერიოზული პრობლემები შეექმნებათო. მათ გარეშე პრობლემები კოალიციას არ შეექმნება?***

– რესპუბლიკელების ფუნქცია კოალიციაში მნიშვნელოვანია. ის საკმაოდ კვალიფიციური ადამიანური რესურსების მქონე გაერთიანებაა. რესპუბლიკელების მთავარი ღირსება ისაა, რომ ღირებულად გამოხატული ფასეულობების მქონე სუბიექტია.

თუმცა, რესპუბლიკელების რეიტინგი დაბალია. ვფიქრობ, ბოლო პერიოდში მათი რეიტინგი კიდევ უფრო შემცირდა.

***– მათი მთავარი სისუსტე რა არის?***

– ისინი საზოგადოებასთან ურთიერთობას ვერ ახერხებენ. ისინი საზოგადოებას მასობრივად ვერ აჩვენებენ საკუთარ საჭიროებას. პირიქით, ზოგიერთ შემთხვევაში ცოტა ქედმაღლური დამოკიდებულება აქვთ მოსახლეობისადმი, რაც საზოგადოებას მათ მიმართ კრიტიკულად განაწყობს, მაგრამ იმ ადამიანური რესურსებით, რაც, რეალურად, ამ წუთისთვის კოალიცია „ქართულ ოცნებას“ გააჩნია, რესპუბლიკელები მისთვის ფასეული უნდა იყოს.

***– რა შემთხვევაში შეიძლებოდა „ოცნებას“ უარი ეთქვა რესპუბლიკელებზე?***

– თუ ისინი მოახერხებდნენ „ქართული ოცნების“, როგორც პარტიის, განვითარებას იმ დონეზე, რომ იქ ეყოლებოდათ კვალიფიციური, პროფესიონალი, ავტორიტეტული კადრები, რომლებიც კონკურენციას გაუწევდნენ ამ ადამიანებს, მაშინ შეიძლებოდა „ქართული ოცნების ცალკე გამოსვლა. თუ არ დარჩებოდა შეკითხვები საგარეო ორიენტირებთან თუ სხვა საკითხებთან დაკავშირებით, „ქართული ოცნების“ შესაძლებლობაც სხვა იქნებოდა.

როდესაც გამოდის გოგი თოფაძე და აქცენტს აკეთებს სტალინზე და რუსეთზე და გაუგებარ განცხადებებს აკეთებენ კოალიციაში, ამ ბალანსს, საბოლოო ჯამში, რესპუბლიკელები იცავენ. ამიტომ ამ დადებითი ბალანსის ფუნქცია რესპუბლიკელებს გააჩნიათ.

***– თოფაძე და მისი პარტია ვეღარ დარჩებიან კოალიციაში?***

– არ ვიცი. ამაზე ჯერ განცხადება არ გაკეთებულა, მაგრამ არასწორი იქნებოდა, თუკი თოფაძე დარჩებოდა კოალიციაში. არსებობს თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმები და ითანამშრომლონ. მცდარი გადაწყვეტილება იქნებოდა, თუკი მათ საარჩევნო სიაში შეიყვანენ.

***– თქვენც ხომ არ მოაზრებით საარჩევნო სიაში?***

– არა. ამ წუთისთვის მე ჩემი პროფესიული ცხოვრებით ვცხოვრობ. არ მგონია, რომ ახლა ეს საკითხი წყდებოდეს, რადგან „ქართულ ოცნებაში“ ისედაც რთული სიტუაციაა საარჩევნო სიის მოწესრიგების კუთხით. მე არანაირი ჩართულობა არ მაქვს ამ პროცესთან.

იყო კონსულტაციები სხვა პოლიტიკურ ძალებთან, მაგრამ ჩემი სურვილი არ იყო მათთან თანამშრომლობა. არ გამოვრიცხავ, დავფიქრდე და სხვა ფორმით ვიმოქმედო, მაგრამ ამ წუთისთვის სხვა გეგმები გამაჩნია.

***– რომელ პოლიტიკურ პარტიასთან გქონდათ მოლაპარაკება?***

– ამაზე საუბარი უხერხულია, მაგრამ ის არ იყო ისეთი წინადადებები, რომელიც ჩემთვის საინტერესო იქნებოდა. ერთადერთი, პროფესიულ კონსულტაციაზე არასოდეს ვამბობ უარს. ჩემზე ბევრი ჭორი ვრცელდება. მათ შორის იმაზე, თითქოს პაატა ბურჭულაძესთან, ან „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში მოვიაზრები. ამ კუთხით არც ბიძინა ივანიშვილი და არც პაატა ბურჭულაძე და არც მე არ დავინტერესებულვართ.

## საუკეთესო 2G, 3G და 4G ქსელის მფლობელი მაგთიკომი 2016 წელსაც სამთავრობო კონსოლიდირებული ტენდერის გამარჯვებულია

2016 წელს მაგთიკომის გამარჯვება სამთავრობო სტრუქტურებისათვის გამოცხადებულ ფიჭურ სატელეფონო კონსოლიდირებულ ტენდერში კვლავაც განაპირობა:

❖ მომსახურების მაღალმა ხარისხმა;
❖ დაფარვის უდიდესმა არეალმა;
❖ ტენდერის პირობებით მოთხოვნილი სერვისების სრულად უზრუნველყოფამ;
❖ ოპტიმალურმა ტარიფებმა;
❖ საუკეთესო 2G, 3G და 4G ქსელმა,

რასაც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (2015 წლის მე-3 კვარტლის) მონაცემებიც ადასტურებს:

მაგთიკომს მობილურ ოპერატორებს შორის ყველაზე მეტი საბაზო სადგური აქვს, რაც მისი ქსელის საუკეთესო ხარისხს განაპირობებს.

| საბაზო სადგურები | მაგთიკომი | ჯეოსელი | ბილაინი |
|---|---|---|---|
| 2G GSM | 1404 | 1213 | 948 |
| 3G UMTS | 1278 | 717 | 0 |
| 4G LTE | 456 | 34 | 309 |
| სულ საბაზო სადგურები | 3138 | 1964 | 1257 |

❖ წლევანდელ ტენდერში გამარჯვებულად მაგთიკომთან ერთად ჯეოსელიც დასახელდა.

## გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# აბაშიშვილი: „გაზპრომთან დაკავშირებით კვლავ ბუნდოვანებაა“



პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის, გიორგი აბაშიშვილის განცხადებით, გაზპრომთან მოლაპარაკებების დროს, მაქსიმალურად უნდა იყოს უზრუნველყოფილი პროცესის გამჭვირვალობა და საზოგადოების ინფორმირებულობა.

როგორც აბაშიშვილმა ჟურნალისტებს შესაბამის საკითხზე კომენტირებისას განუცხადა, სწორედ ამის უზრუნველსაყოფად მიმართა გასულ წელს საქართველოს პრეზიდენტმა მთავრობას, რომ გაზპრომთან დაკავშირებული საკითხი მისი მონაწილეობით მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე განხილულიყო.

– ამ მიმართვის ძირითადი არსი იყო სწორედ ის, რომ აღნიშნულ ძალიან მგრძნობიარე საკითხში ყოფილიყო მეტი გამჭვირვალობა და საზოგადოების მეტი ინფორმირებულობა. დღეს, როდესაც ჩვენ ვხედავთ, რომ კვლავ გარკვეული ტიპის ბუნდოვანებაა, კვლავ ისმის კითხვები საზოგადოების მხრიდან.

ჩვენი პოზიცია არის უცვლელი. მიგვაჩნია, რომ არსებულ ვითარებაში მაქსიმალურად უნდა იქნას უზრუნველყოფილი პროცესის გამჭვირვალობა და, შესაბამისად, საზოგადოების ინფორმირებულობა, – განაცხადა აბაშიშვილმა.

**ბიპიენი**

# რომან გოცირიძე: „ენერგეტიკის მინისტრი „გაზპრომის ადვოკატად გამოდის“

– ნაცვლად იმისა, რომ ჩვენი ენერგეტიკის მინისტრი იცავდეს ქვეყნის ინტერესებს, ის, ფაქტობრივად, გამოდის გაზპრომის ადვოკატად და ატყუებს საქართველოს მოსახლეობას.

ამის შესახებ ჟურნალისტებს ექსპერტმა რომან გოცირიძემ განუცხადა.

გოცირიძის განცხადებით, კალაძემ გააკეთა ძალიან არასწორი განცხადებები და ცდილობდა მოსახლეობის შეცდომაში შეყვანას, თითქოს შესაძლებელია სომხეთის გაზმომარაგება ირანიდან.

– ერთი კარგი შედეგი იქნა მიღწეული ამ ბოლო პერიოდის განმავლობაში: ფარული ოთხი მოლაპარაკების ნაცვლად, ჩვენი ენერგეტიკის მინისტრი ღიად აცხადებს, რომ დღეს მიფრინავს ვენაში, ასე რომ, პროგრესი შეიმჩნევა, – განაცხადა რომან გოცირიძემ.

მისი თქმით, არავითარი ტექნიკური საშუალება ირანიდან სომხეთის გაზით მომარაგების არ არსებობს. იქ საჭიროა ახალი მილსადენის გაყვანა და ეს მხოლოდ სომხეთზე არ არის დამოკიდებული.

– დღეს სომხეთში შედის ვიწრო დიამეტრის მილი და დიდი ინფრასტრუქტურის გაკეთება დამოკიდებულია ირანზეც, – განაცხადა გოცირიძემ.

მისივე თქმით, ამის გაკეთებას სულ მცირე 3-4 წელი და რამდენიმე ასეული მილიონი დოლარი დასჭირდება.

– ამიტომ, ნაცვლად იმისა, რომ ჩვენი ენერგეტიკის მინისტრი იცავდეს ქვეყნის ინტერესებს, ის ფაქტობრივად, გამოდის გაზპრომის ადვოკატად და ატყუებს მოსახლეობას, – განაცხადა გოცირიძემ.



კითხვას, გამორიცხავს თუ არა რუსეთის მხრიდან ულტიმატუმს, გოცირიძემ უპასუხა, რომ 20 წელია რუსეთი ცდილობს ულტიმატუმის წამოყენებას, თუმცა, სინამდვილეში ჩვენ ვუყენებთ ულტიმატუმს, რადგან მილი ჩვენს ტერიტორიაზე გადის.

– ის თანხა, რომელსაც რუსეთი მოგვცემს ტრანზიტისთვის, ეყოფა მხოლოდ იმ საექსპლუატაციო ხარჯებს, რომელსაც საქართველო ეწევა ამ მილის შესანახად, 20 წელია რუსეთს ეს უნდა, 20 წელია ულტიმატუმს გვიყენებს, სინამდვილეში ჩვენ ვუყენებთ იქეთ, იმიტომ, რომ მილი ჩვენია და მას ჩვენ გარდა არსად არ აქვს გზა, – განაცხადა გოცირიძემ.

# „აირზენას“ დამფუძნებელი თამაზ გაიაშვილი სომხეთში ახალ ავიაკომპანია „არმენიას“ ქმნის

„კომერსანტის“ ინფორმაციით, „აირზენას“ დამფუძნებელი და დირექტორთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე თამაზ გაიაშვილი და გენერალური დირექტორის ყოფილი მოადგილე რობერტ ოგანესიანი სომხეთში ახალ ავიაკომპანია „არმენიას“ ქმნიან, რომლის დიდი ნაწილიც „აირზენას“ პერსონალით დაკომპლექტდება. ასევე „არმენიას“ სარგებლობაში გადავა „აირზენას“ ექსპლუატაციაში მყოფი თვითმფრინავები.



სომხეთის სამოქალაქო ავიაციის მთავარი სამმართველოს პრეს-მდივანმა რუბენ გრძელიანმა „კომერსანტს“ დაუდასტურა ინფორმაცია სომხეთში ახალი ავიაკომპანია „არმენიას“ შექმნის შესახებ, თუმცა მის დამფუძნებლებთან დაკავშირებულ შეკითხვაზე განაცხადა, რომ ამის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს.

– გიდასტურებთ, რომ მიმდინარეობს ახალი ავიაკომპანია „არმენიას“ ჩამოყალიბების პროცესი. თუმცა დეტალები ჯერჯერობით უცნობია და ოფიციალურ ინფორმაციას თებერვალში, გაზაფხულამდე გავავრცელებთ, – განაცხადა გრძელიანმა.

„კომერსანტმა“ თამაზ გაიაშვილთან დაკავშირება ვერ შეძლო.

„აირზენას“ წარმომადგენელთა გადაწყვეტილება სომხეთის ბაზარზე შესვლასთან დაკავშირებით არაერთ შეკითხვას ბადებს, გამომდინარე სომხეთის ავიაბაზარზე არსებული ვითარებიდან.

კერძოდ, თავად სომეხი ექსპერტების განცხადებით, სომხეთის ავიაბაზარს კორუფცია და რუსული ავიაკომპანიების დომინანტობა აზარალებს. შედეგად, ბაზრიდან ევროპული გადამზიდავები გადიან. მათ შორისაა „ლუფთჰანზა,“ „ლოტი,“ „ალიტალია“ და სხვები. სამაგიეროდ, ბაზარზე რუსული კომპანიები იკიდებენ ფეხს. ძირითადად „აეროფლოტი“ და მისი შვილობილი კომპანიები.

სწორედ ამის გამო ადგილობრივი მოთამაშეები ვერ უძლებენ კონკურენციას და ტოვებენ ბაზარს. ასეთი ბედი გაიზიარეს „ეარ არმენიამ“ და „არმავიამ.“

„აირზენას“ ყოფილი გენერალური დირექტორი, იასე ზაუტაშვილი „კომერსანტის“ აღნიშნული ინფორმაციის კომენტარისას აცხადებს, რომ სომხეთში ამ ეტაპზე არ არსებობს არც ერთი ნაციონალური გადამზიდავი და ახალმა ავიაკომპანიამ შესაძლოა სწორედ ეს ნიშა დაიკავოს.

ზაუტაშვილი ახალი ავიაკომპანიის მთავარ მიმართულებებად რუსეთსა და ევროპას მოიაზრებს.

იასე ზაუტაშვილი ამბობს, რომ „არმენიას“ მენეჯმენტი, სავარაუდოდ, გაითვალისწინებს იმ პრობლემებს, რომლებსაც სომხეთში ადგილობრივი ნაციონალური ავიაგადამზიდავები წააწყდნენ.

ზაუტაშვილი თავად „აირზენაზეც“ საუბრობს და ამბობს, რომ ავიაკომპანიამ საქმიანობის მასშტაბები შეამცირა, შვებულებებში გაუშვა კადრები, რაც ცხადყოფს, რომ მის დამფუძნებლებს სხვა მიმართულებით გააქტიურების გადაწყვეტილება აქვთ მიღებული. ამის მიზეზად ზაუტაშვილი უცხოეთის – თურქეთის, უკრაინის, რუსეთის და სხვა ავიაკომპანიების გაძლიერებას ასახელებს.

მისი ინფორმაციით, ხელისუფლება მუშაობს ადგილობრივი ავიაბიზნესის წახალისებაზე და თუ შეიქმნება დარგის განვითარების სტრატეგია, დღის წესრიგში დადგება როგორც არსებული კომპანიების გაძლიერება, ისე ახლის ჩამოყალიბება.

იასე ზაუტაშვილის თქმით, ავიაკომპანიებმა თანამედროვე, 21-ე საუკუნის მენეჯმენტით უნდა მოახდინონ ოპერირება და ქვეყანაში ეს მიმართულება უნდა გაძლიერდეს, რადგან ავიაცია სახელმწიფოსთვის შემოსავლების მნიშვნელოვანი წყაროა.

**მაია ბუთბაია, სოფო ქსოვრელი, კომერსანტ.გე**

2016, 21 იანვარი, №16

# „მსოფლიოში ნავთობის გაიაფება პირდაპირ გავლენას ახდენს ჩვენზეც“

## ნავთობის ფასი 27 დოლარამდე დაეცა

მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასი კიდევ შემცირდა.

ბლუმბერგის მონაცემებით, ერთი ბარელი ნავთობის ყიდვა 27.52 დოლარადაა შესაძლებელი. ბრენტის ნავთობი კი 28.18 დოლარი ღირს.

„შავი ოქროს“ ყიდვა ბოლოს ამ ფასად 2003 წელს იყო შესაძლებელი.

ნავთობის ფასმა კიდევ ერთხელ მას შემდეგ დაიკლო, რაც 19 იანვარს ენერგიის საერთაშორისო სააგენტოში განაცხადეს, რომ ნავთობბაზრებზე ჭარბი მიწოდებაა მოსალოდნელი.

ამას ირანის წინააღმდეგ დასავლეთის მიერ სანქციების მოხსნაც მოჰყვა, რაც იმას ნიშნავს, რომ მსოფლიო ბაზარს ენერგორესურსების კიდევ ერთი მიმწოდებელი დაუბრუნდება.

ექსპერტების მოსაზრებით, უახლოეს მომავალში მოსალოდნელია ნავთობის ფასის მორიგი მნიშვნელოვანი კლება.

როგორ აისახება აღნიშნული მოვლენები საქართველოზე და გაიაფდება თუ არა საქართველოში საწვავი?

ამის თაობაზე ბიზნესპრესნიუსი „ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის“ თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილს ესაუბრა.

– ირანს ჯერ სრულფასოვანი ექსპორტი არ დაუწყია, თუმცა, მას შემდეგ, რაც სანქციების მოხსნასთან დაკავშირებით ინფორმაცია გავრცელდა, ფასებმა დაიწია. უახლოეს კვირებში დაიწყება ირანული ნავთობის ექსპორტი და ეს ფასებზეც აისახება. მსოფლიოში ნავთობის ფასების შემცირება პირდაპირ გავლენას ახდენს ჩვენზეც. ვინაიდან ჩვენ იმპორტიორი ქვეყანა ვართ, დამოკიდებული ვართ ნავთობპროდუქტების საერთაშორისო ფასზე, – აღნიშნა ვანო მთვრალაშვილმა.



არის რამდენიმე ფაქტორი, რომლებიც გასათვალისწინებელია საწვავზე ფასების კლების შემთხვევაში.

– თუ ლარი დოლართან სიმყარეს შეინარჩუნებს, ფასები მსოფლიოს ფასების მიხედვით შემცირდება. თუ ლარი გაუფასურდა, მაშინ იმ ოდენობით ვერ მოხდება შემცირება, როგორც მსოფლიოში, – აცხადებს ვანო მთვრალაშვილი, – ვაჭრობა დოლარში ხდება, გასულ წელს მთლიანობაში ფასი 40 თეთრით შემცირდა და ლარი რომ არ გაუფასურებულიყო, ფასების შემცირება გაცილებით უფრო მაღალი იქნებოდა.

ირანისთვის სანქციების მოხსნა საქართველოს მეზობელ ქვეყნებზეც იქონიებს გავლენას. განსაკუთრებით აზერბაიჯანსა და რუსეთზე, რომელთა ბიუჯეტის დიდი ნაწილი სწორედ ენერგორესურსების ექსპორტით ივსება.

ეს ორი ქვეყანა მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასის რეკორდულმა კლებამ უკვე დააზარალა. ახლა კი მათ საფრთხეს უქმნის მსოფლიოს ბაზარზე ენერგორესურსების მწარმოებელი კიდევ ერთი ქვეყნის – ირანის ხელახლა გამოჩენა.

**თამთა ჯიჯავაძე, ბიპიენი**

# ფრანგულმა კომპანიამ „სანტეს“ აქციები შეიძინა

რძის პროდუქტების მწარმოებელი ქართული კომპანიის „სანტეს“ ერთ-ერთი აქციონერი მსოფლიოში რძის პროდუქტებისა და ყველის უმსხვილესი მწარმოებელი კომპანია „ლაქტალის ჯგუფი“ გახდა.

ინფორმაცია „კომერსანტს“ „სანტეში“ უკვე დაუდასტურეს, თუმცა რა რაოდენობის აქციები შეიძინა „ლაქტალისმა“ და არის თუ არა საუბარი საკონტროლო პაკეტის გაყიდვაზე, არ ახმაურებენ.

კომპანიაში აცხადებენ, რომ „ლაქტალისის“ მიერ „სანტეს“ აქციების შეძენა კომპანიას მისცემს საშუალებას, ქართული პროდუქტები წარმოაჩინოს მსოფლიო ბაზარზე და განავითაროს ადგილობრივი რძისა და რძის პროდუქტების წარმოება და დიდი წვლილი შეიტანოს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში.

– „ლაქტალისის“ თანამონაწილეობა ქართული რძის პროდუქტების წარმოებაში იქნება მნიშვნელოვანი სიგნალი საერთაშორისო ინვესტორებისათვის საქართველოში სამომავლო ინვესტირებისათვის,“ – აცხადებენ ქართულ კომპანიაში.

„სანტე“ 1997 წლიდანაა ქართულ ბაზარზე წარმოდგენილი და როგორც კომპანიაში ამბობენ, დაარსებიდან დღემდე რძის პროდუქტების ბაზრის ლიდერია.

„ლაქტალისი“ 1933 წელს ანდრე ბენიეს მიერ დაარსდა საფრანგეთში.

დღეს ოჯახის საკუთრებაში მყოფი „ლაქტალის ჯგუფი“ მრავალი წარმატებული საერთაშორისო ბრენდის მფლობელია, ისეთების, როგორებიცაა „პრეზიდენტი“, „პარმალატი“, „გალბანი“.

„ლაქტალის ჯგუფში“ ამჟამად დასაქმებულია 75.000 ადამიანი და მისი 200-ზე მეტი საწარმო მსოფლიოს 43 ქვეყანაშია განლაგებული.

კომპანიის ბრუნვამ 2014 წელს 16.5 მილიარდი ევრო შეადგინა.

„სანტეს“ პროდუქცია რამდენიმე ბრენდითაა წარმოდგენილი: „სანტე“, „სანტინო“, „სანტისიმო“ და ერთადერთი ქართული ყველის ბრენდი „სანებო“.

„სანტე“ არის ერთადერთი კომპანია საქართველოში, რომელიც ქვეყნის მასშტაბით ადგილობრივი მოსახლეობისგან მთელი წლის განმავლობაში აგროვებს მილიონობით ლიტრ ნატურალურ რძეს.

**სოფო ქსოვრელი, კომერსანტ.გე**



# აფხაზეთის ტურისტულ ბიზნესში თაღლითები მომრავლდნენ

## თურქული პროდუქციის შემზღუდავი ნუსხა დამტკიცებულია

მარიამ მჭედლიშვილი

**ექსპერტების აზრით, შარშანდელი წელი წარმატებული იყო ანექსირებული აფხაზეთის ტურიზმის სფეროსთვის, ვინაიდან 2015 წელს აფხაზეთში ჩავიდა ყველაზე მეტი დამსვენებელი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ.**

ტურისტული სეზონი ზაფხულში აქტიურდება, თუმცა, ტურისტები აფხაზეთის დასასვენებელ სახლებში ზამთარშიც ჩადიან. ამით სარგებლობენ თაღლითები.

იანვარში ინტერნეტში გაჩნდა ახალი პორტალები, რომლებიც ყიდიან საგზურებს აფხაზეთის დასასვენებელი სახლებისა თუ სასტუმროებისთვის.

მათ თაღლითები ხსნიან.

პირველებმა ეს ტურისტულმა სააგენტოებმა შეამჩნიეს. ისინი დაინტერესებულ პირებს სასტუმროების ნომრებს ოფიციალურად სთავაზობენ. ამ დღეებში გაირკვა, რომ დაუდგენელი პირები თავს განთქმული მიუსერას პანსიონატის წარმომადგენლებად ასაღებენ.

არაოფიციალური საიტების მეშვეობით შესაძლებელია ნომრის დაჯავშნა დღე-ღამეში 500 რუბლით იაფად, ვიდრე ნამდვილ ტურისტულ სააგენტოებში. ნომრის დაჯავშნისას კლიენტი ფოსტით იღებს ანგარიშს ფიზიკური პირის რეკვიზიტებით. მითითებული თანხა 3 დღის განმავლობაში უნდა გადაირიცხოს შემნახველი ბანკის დახმარებით. საეჭვო საიტებზე ტელეფონებიცაა მითითებული, მაგრამ იქ დარეკვა შეუძლებელია. ტელეფონები გამუდმებით დაკავებულია.

— ესენი თაღლითები არიან, — ადასტურებს პანსიონატ მიუსერას დირექტორი გეშაპაგო დაური.

მისი თქმით, პანსიონატს საიტი საერთოდ არ გააჩნია. მისი გახსნა აქტიური საკურორტო სეზონის წინ იგეგმება. პანსიონატის დირექტორი ყველას ურჩევს, გამოცდილი ტურისტული სააგენტოების მომსახურებით ისარგებლონ.

— არ ვიცით, როგორ ვებრძოლოთ ყალბ საიტებს და ვის მივმართოთ კიბერდანაშაულის დროს. მუდმივად მივმართავ საგამოძიებო ორგანოებს, მაგრამ ერთი საიტის დახურვას თუ მივაღწიეთ, სხვა იხსნება. სიტუაცია მეორდება. მოველი, რომ ჩვენთან ისევ ჩამოვლენ მოტყუებული ტურისტები ყალბი ვაუჩერებით, — აღნიშნავს პანსიონატის დირექტორი.

ამ დარგს მარტო ფალსიფიკატორები არ ასუსტებენ. აფხაზეთის ტურისტულ სფეროს ზიანი ადგება რუსეთში შექმნილი მძიმე ეკონომიკური ვითარებისა და თურქეთთან შემოღებული შეზღუდვების გამოც.

რუსეთი ვერ ასრულებს აფხაზეთის წინაშე აღებულ საფინანსო და საინვესტიციო ვალდებულებებს. ამას დაემატა რუსეთ-თურქეთის დაპირისპირების გამო თურქეთის საწინააღმდეგოდ სანქციების დამტკიცება.

ორგანიზაციები, მათ შორის ისინი, რომლებსაც თურქეთის მოქალაქეები მართავენ ან აკონტროლებენ, ველარ გაატარებენ ღონისძიებებს, რომლებიც დაგეგმილი იყო აფხაზეთის სოციალ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის საინვესტიციო პროგრამით.

პროგრამა 2015-2017 წლებს მოიცავს.

19 იანვარს დამტკიცდა იმ პროდუქტების ნუსხაც, რომლებიც უნდა შეიზღუდოს.

1 მარტიდან თურქეთიდან აფხაზეთში შეიზღუდება თევზის, კარტოფილის, ხახვის, ციტრუსების, კიტრის, ვაშლის და სხვა პროდუქციის შეტანა.

ეს პროდუქცია დაიშვება მხოლოდ გარკვეულ საზღვრებში პირადი მოხმარებისთვის.

„ახალი თაობა“ წერდა იმის შესახებ, რომ თურქულ გემებს აფხაზეთის სანაპიროზე ქაფშიას ჭერაც აეკრძალათ. ამ საქმიანობიდან აფხაზეთის ბიუჯეტში სოლიდური თანხები შედიოდა.




რუსეთის წარმომადგენლებმა პირობა დადეს, რომ თევზჭერით თავად დაკავდებიან. თუმცა, თევზის ჭერის სეზონის მიუხედავად, ეს საქმე არ დაუწყიათ.

# ორი ინტეგრაციული პროექტი სამხრეთ კავკასიაში

სამხრეთ კავკასიაში ორი ინტეგრაციული პროექტის პერსპექტივებზე გლობალური კვლევების ცენტრმა მორიგი საექსპერტო სემინარი გამართა. საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური ვექტორები განსხვავებულია, თუ საქართველოს საგარეო კურსი ევროკავშირისკენაა მიმართული, სომხეთი ევრაზიული კავშირის წევრია, ხოლო აზერბაიჯანი ჯერჯერობით ნეიტრალურ პოზიციებს ინარჩუნებს. როგორ აისახება ქვეყნების ურთიერთობაზე და ზოგადად, სამხრეთ კავკასიის რეგიონზე ასეთი მრავალფეროვნება და რადიკალურად განსხვავებული საგარეო ვექტორები, გლობალური კვლევების ცენტრის ინიციატივით შეკრებილმა სპეციალისტებმა, ეკონომიკის ექსპერტებმა — მამუკა ჩხეიძემ, სოსო არჩვაძემ, საქართველოს ეკონომისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ, მიხეილ ჯიბუტმა, ექსპერტმა კავკასიისა და აზიის ქვეყნების საკითხებში გიორგი კუჭავამ იმსჯელეს.

**გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელის, ნანა დევდარიანის განცხადებით,** საქართველოში ეკონომიკაც პოლიტიზებულია. „ქვეყანაში არის ელიტის ნაწილი, რომელიც აცხადებს, რომ საქართველოს განვითარების პერსპექტივა ევროინტეგრაციაშია, მეორე ნაწილს მიაჩნია, რომ რუსეთთან უნდა დავამყაროთ მჭიდრო ურთიერთობა და ევრაზიულ კავშირზეც უნდა ვიფიქროთ. თუმცა, რატომღაც არავინ ფიქრობს, რომ რეგიონში ჩვენ მარტო არ ვართ. მაგალითად, სამხრეთ კავკასიის რეგიონში არსებული სამი ქვეყნიდან — საქართველომ ასოცირების შეთანხმებას მოაწერა ხელი, სომხეთი ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში შევიდა, აზერბაიჯანი კი არსად არ წევრიანდება. როგორ მოხერხდება ამ სამი ქვეყნის ეკონომიკური ინტეგრაცია ასეთი სრულიად ურთიერთგამომრიცხავი პოლიტიკური ორიენტაციის შემთხვევაში და როგორი იქნება ამ ყველაფერზე, ერთი მხრივ, ევროკავშირის და მეორე მხრივ, რუსეთის რეაქცია?

სწორედ ამ თემებზე იმსჯელეს მოწვეულმა ექსპერტებმა. მათ სერიოზული ინფორმაცია წარმოადგინეს, გარკვეული პროგნოზებიც გაკეთდა მეზობელ ირანთან დაკავშირებით, რომელსაც ახლახან სანქციები შეუმსუბუქდა, ვიმსჯელეთ რუსეთსა და თურქეთს შორის გამწვავებულ ურთიერთობაზე და იმაზე, თუ რა სარგებელი შეიძლება აქედან საქართველომ ნახოს. რეგიონის პრობლემებსაც გავცდით, რადგან მოგეხსენებათ, ეკონომიკა საზღვრებს არ ემორჩილება. ჩვენ კიდევ ერთხელ შევძელით ისეთ საკითხზე გვესაუბრა, რომლითაც არც მედია ინტერესდება და არც პოლიტიკოსები საუბრობენ. არადა, საქართველომ თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, ყველა ეკონომიკური კონტაქტითა თუ ინტეგრაციული პროექტით უნდა ისარგებლოს, რაც შემდეგ ჩვენი მოქალაქეების მდგომარეობასა და კეთილდღეობაზე პირდაპირ აისახება.

**ეკონომიკის ექსპერტი იოსებ არჩვაძე:** როდესაც საუბარია სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოთა პოლიტიკურ ორიენტაციაზე, მართალია, ისინი ერთი საერთო, საბჭოთა კავშირიდან გამოვიდნენ, მაგრამ ეს 25 წელი სრულიად საკმარისი აღმოჩნდა, რათა ეს ქვეყნები ერთმანეთს დაშორებოდნენ.

პარადოქსია, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ საქართველო დსთ-ს წევრი არ არის, სომხეთისა და აზერბაიჯანისგან განსხვავებით, საქართველოს საგარეო ვაჭრობაში, განსაკუთრებით ექსპორტში, დსთ-ს უფრო მაღალი წილი აქვს, ვიდრე სომხეთსა და აზერბაიჯანს. გასული წლის მონაცემებით, ნახევარზე მეტი ჩვენი პროდუქციის ექსპორტისა დსთ-ს ქვეყნებზე მოდიოდა, მაშინ როცა, ამ ციფრმა აზერბაიჯანში მხოლოდ 3,8 %, სომხეთში კი -23,1% შეადგინა. ანუ გამოდის, რომ ჩვენ პოლიტიკურ დონეზე ცალსახად ევროპული მისწრაფება გვაქვს, მაგრამ ეკონომიკურად უფრო მოწყვლადები ვართ და დსთ-ზე უფრო ვართ დამოკიდებულები. საქართველო ძირითადად აწარმოებს სასოფლო-სამეურნეო და აგროსამრეწველო პროდუქციის ექსპორტს, რომლის ძირითადი ბაზარიც არის — რუსეთი, უკრაინა და პოსტსაბჭოთა სივრცე. მაგალითად, ჩინეთში წელს ორჯერ ნაკლები ღვინო გავიდა, ვიდრე ყაზახეთში და როდის მივაღწევთ იმავე მაჩვენებელს, საკმაოდ შორეული პერსპექტივაა, საერთოდ თუ არსებობს ამის პერსპექტივა. ანალოგიური სიტუაციაა სავაჭრო ბრუნვის მიხედვითაც. აზერბაიჯანს თავისი საგარეო სავაჭრო ბრუნვის 60% აქვს ევროკავშირის ქვეყნებთან, მაშინ როცა, დსთ-ს ქვეყნებთან მისი წილი მხოლოდ 9,4 %-ია. ხოლო, ჩვენი საგარეო სავაჭრო ბრუნვის 26% მოდის ევროკავშირზე და 31% დსთ-ს ქვეყნებზე. მართალია, წელს ეს პროპორციები შეიცვალა და ევროკავშირი მცირედით უკვე უსწრებს დსთ-ს, თუ ყველაფერს თავის სახელს დავარქმევთ, ფაქტობრივად, ეს არის სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების კოოპერირების ასიმეტრია. პოლიტიკურად საქართველო ევროკავშირზეა ორიენტირებული, მაგრამ ევროკავშირის წილი მის ექსპორტში, ისევე, როგორც სავაჭრო ბრუნვაში, გაცილებით ნაკლებია, ვიდრე რუსეთსა და ევრაზიულ კავშირზე ორიენტირებულ სომხეთში. აღნიშნული მონაცემები ადასტურებენ თუ რამდენად დაქვემდებარებულია ეკონომიკა პოლიტიკაზე და რამდენად განსაზღვრავს გეოპოლიტიკური ფაქტორი ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკური თუ ეკონომიკური ინტეგრაციის მასშტაბებსა და ვექტორს.

**ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში, მამუკა ჩხეიძე:** სტატისტიკის მიხედვით ცხადია, რომ ევროკავშირთან იმპორტი ხასიათდება სტაბილური სიდიდეებით, ხოლო საბაჟო კავშირის ქვეყნებთან გვაქვს მცირეოდენი შემცირება აბსოლუტურ მოცულობებში. უფრო მეტი ვარდნა გვაქვს აზერბაიჯანთან, რომელიც ძირითადში გამოწვეულია ენერგომატარებლებზე ფასების მნიშვნელოვანი კლებით. ზოგადად იმპორტის კლების მეორე მთავარი გამომწვევი მიზეზი ქვეყნის ეკონომიკური პრობლემებია, რაც გამოწვეულია მსოფლიოს ძირითად ვალუტებთან, დოლართან და ევროსთან მიმართ ლარის მკვეთრი გაუფასურებით.

ახლა ორიოდ სიტყვით მიმოვიხილოთ ჩვენი ევროკავშირთან გაფორმებული ხელშეკრულების მთავარი ფაბულა და ის, თუ რას წარმოადგენს ე.წ. საბაჟო კავშირი. ევროკავშირთან დადებული ხელშეკრულების მთავარი დადებითი მომენტია, რომ ის აახლოებს საქართველოს საკანონმდებლო მოთხოვნებს ევროკავშირის სტანდარტებთან, ხსნის საბაჟო მოსაკრებელს ყველანაირ ევროპულ და გარკვეულ ქართულ პროდუქციაზე და აადვილებს ქართული პროდუქციისთვის გზის გაკვალვას ევროპის ბაზარზე. თუმცა, ჩვენ როგორ გამოვიყენებთ ამ ყველაფერს, როდესაც მოვსპეთ ქვეყნის შიგნით წარმოება და ვიქეცით პრაქტიკულად სუფთა იმპორტის ქვეყნად, ეგ სხვა დისპუტის საკითხია.

რაც შეეხება ახალ გაერთიანებას „საბაჟო კავშირს“ ანუ „ევრაზიის ეკონომიკურ გაერთიანებას,“ მისი დაფუძნების მთავარი მოტივაცია იყო ერთიანი საბაჟო სივრცის შექმნა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ასეთი მოსაზრებაც, რომ ეს კავშირი რეალურად უფრო პოლიტიკური კომპონენტის მატარებელია, ვიდრე ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაციის ინსტრუმენტი. ბუნებრივია, რადგან ამ გაერთიანებას აქვს საერთო მმართველობის ორგანოები, მნიშვნელოვნად გაადვილებულია შიგნით გაერთიანებაში სხვადასხვა ქვეყნებს შორის (მაგალითად, რუსეთსა და სომხეთს შორის და ა.შ.) საქონლის მოძრაობა, ვიდრე ეს ხდება სხვა ქვეყნებთან მიმართებაში. აღარაფერს ვლაპარაკობ ადამიანების გადაადგილებაზე ამ კავშირის ქვეყნებს შორის. თუმცა ეს არ აღმოჩნდა და არ არის აუცილებელი პირობა ეკონომიკური ინტეგრაციისთვის.

ამის თვალნათელი მაგალითია სავაჭრო ბრუნვა სომხეთსა და რუსეთს შორის საბაჟო კავშირში შესვლამდე და მის შემდეგ. კერძოდ, სომხეთ-რუსეთის საგარეო-სავაჭრო ბრუნვამ 2015 წლის იანვარ-ივლისში შეადგინა 654 მილიონი აშშ დოლარი, რაც 14%-ით ნაკლებია 2014 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ანუ პერიოდთან, როდესაც სომხეთი არ იყო ამ კავშირის წევრი.

ანალოგიურ სიტუაციას აქვს ადგილი რუსეთ-ბელორუსიის შემთხვევაში. კერძოდ, თუ 2015 წლის იანვარ-სექტემბერში სავაჭრო ბრუნვა შეადგენდა 21 მილიარდ აშშ დოლარს, 2014 წლის ანალოგიურ პერიოდში იგი შეადგენდა — 28 მილიარდ აშშ დოლარს. ასეთივე სიტუაციაა ყაზახეთთან მიმართებაშიც, სადაც რუსეთ-ყაზახეთის სავაჭრო ბრუნვა, 2015 წელს, წინა წელთან შედარებით, 20%-ითაა შემცირებული.

ამრიგად, აღნიშნული სტატისტიკური ანალიზიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არც ერთი ეკონომიკური გაერთიანების წევრობა არ იძლევა ინდულგენციას ეკონომიკის ზრდისთვის. თუმცა ზემოაღნიშნულმა სტატისტიკამ დაგვანახა დღევანდელი გამოწვევები, დასავლეთის რუსეთზე ეკონომიკური წნეხის პირობებში, ევროკავშირის ბაზარი, რომელიც არათანაზომადად უფრო ძლიერი ბაზარია, ვიდრე რუსეთის ბაზარი და გამომდინარე აქედან, ევრაზიის ეკონომიკური გაერთიანების ბაზარი, უფრო მდიდარია ეკონომიკურ გამოწვევებთან მიმართებაში, ხოლო ევრაზიის ეკონომიკური ბაზარი უფრო მოწყვლადია. ეს ეხება როგორც სავაჭრო პოზიციებს, ასევე ინვესტიციებსაც, რომელთა პარამეტრების ურთიერთშედარებაც, ბუნებრივია, რუსეთზე დაწესებული სანქციებიდან გამომდინარე, შეუძლებელია.

**საქართველოს ეკონომისტთა ასოციაციის თავმჯდომარე, პროფესორი მიხეილ ჯიბუტი:** ძალიან კარგი ეკონომიკური ანალიზი მოვისმინე, თუმცა, მინდა ასეთი ეკონომიკური ჰიპოთეზა წამოვაყენო. თუ არ მოხდა სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნის ინტეგრაცია, ამ ქვეყნებს არავითარი პერსპექტივა არ ექნებათ. ისინი განწირული იქნებიან სიღარიბის, ეკონომიკური სიდუხჭირის და სხვა ქვეყნების ბუფერული მიზნების გამტარებელ სატელიტ ტერიტორიებად გადაქცევისთვის.

1991 წლიდან დღემდე, რეგიონში რამდენიმე მნიშვნელოვანი ინტეგრაციის პროცესი განვითარდა. აზერბაიჯანს, თურქეთსა და რუსეთს შორის და ძალიან უმნიშვნელო, საქართველო-სომხეთის მიმართულებით. ორივე პროცესი დაკავშირებულია საქართველოს ტრანზიტულ მდებარეობასთან და არც ერთი არ უკავშირდება ბაზრების სეგმენტის შევსებას. დღეისთვის, ამიერკავკასია ეკონომიკურად მთლიანად რუსეთზეა დამოკიდებული. სომხეთის ენერგეტიკა და ინფრასტრუქტურა მთლიანად რუსულია, ხოლო საქართველოში ენერგეტიკა ძირითადად რუსულია, რკინიგზის პროექტი კი სხვადასხვა მიზეზის გამო არ განხორციელდა. რაც შეეხება ნავთობსადენებს, ეს არის ერთადერთი მთავარი ღერძი, რომელიც ამ ინტეგრაციულ პროცესშია ჩართული.

ევრაზიის ეკონომიკური კავშირი განსაკუთრებულ სირთულეებს აწყდება სავალუტო ურთიერთობებთან დაკავშირებით. ვინაიდან, საუბრობენ, რომ მათ არ გაითვალისწინეს ევროპის გამოცდილება და ახლა სურთ ევრაზიის კავშირის ვალუტა რუბლის მაგივრად, ისეთი ვალუტით შეცვალონ, რომელიც იქნება პირობითი ვალუტა მიმოქცევისთვის. მოკლედ რომ ვთქვათ, პრობლემა ბევრია და თვითონ ამ ევრაზიული კავშირის განვითარების პერსპექტივაც პოლიტიზებულია. თუმცა ევრაზიის კავშირს აქვს საბაჟო კავშირი და თავისუფალი ეკონომიკური ვაჭრობის რეჟიმიც, სადაც განაცხადი 40-მდე სახელმწიფოს აქვს წარდგენილი, მათ შორის ევროკავშირსაც, რაც ჩვენთვის ძალიან დამაფიქრებელია. შეიძლება თუ არა, თუნდაც არა ეკონომიკური, არამედ პრაგმატული პოლიტიკური თვალსაზრისითაც, საქართველო იყოს 41-ე? მით უმეტეს, რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება არ კრძალავს სხვა კავშირებსა და ეკონომიკურ ურთიერთობებს. თუმცა, ჩვენთან ძალიან პოლიტიზებულია ეს საკითხი. სწორედ ამიტომ საჭიროა ამ საკითხის საჯარო განმარტება.

რას გვაძლევს ევროკავშირი? ერთი წლის განმავლობაში, ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას არაფერი არ მოუცია, ვინაიდან, ანალოგიური სავაჭრო რეჟიმი აქამდეც გვქონდა, ხოლო რაც შეიძლება მივიღოთ ევროკავშირთან ურთიერთობიდან, ჩვენ ამისთვის არაფერს ვაკეთებთ. ევროპასთან ხელშეკრულება გაძლევს შანსს დაემსგავსო ევროპელს — სამართლით, ენით, საუბრით, გარემოთი, ჩვენ ეს არ გაგვიკეთებია და ამიტომ არც არაფერი მიგვიღია და უფრო მეტიც, ახლა ვდგავართ იმის წინაშე, რომ ევროპამ მეტი მიიღოს ამ ურთიერთობიდან, ვიდრე ჩვენ შევძლებთ თუნდაც წლების შემდეგ მივიღოთ მისგან.

ამ ცივილიზაციათა წინააღმდეგობაში, რეგიონის ეს სამი პატარა ქვეყანა საჭიროა დიდი სახელმწიფოებისთვის. ამიტომ კარგი იქნება, თუ გაჩნდება სამივე ქვეყნის ინტეგრაციული გაერთიანების რაიმე პლატფორმა. სხვა შემთხვევაში, სამივე ქვეყანა დაუცველი აღმოჩნდება.

# ირანის იზოლაციიდან გამოსვლამ რუსეთი დაასუსტა



არსებობს რეალური შესაძლებლობა საიმისოდ, რომ ირანი ევროპის ბაზრებზე დაბრუნდეს.

რუსეთმა თავის დროზე აქტიური როლი ითამაშა იმაში, რომ ირანის მიმართ სანქციები გაუქმებულიყო. ირანი თითქოს რუსეთის მადლიერი უნდა იყოს. მიუხედავად ამისა, ირანის პრეზიდენტმა ჰასან რუჰანიმ სანქციების გაუქმების შემდეგ თავის პირველი ვიზიტი არა მოსკოვში, არამედ ევროპაში დაგეგმა (საფრანგეთი, იტალია).

მოსკოვში ამან ნამდვილი შოკი გამოიწვია. ირანის ელჩმა რუსეთში სცადა, კრემლის ხელმძღვანელობა რამდენადმე მაინც დაემშვიდებინა. მან განაცხადა, რომ ირანი კვლავაც განაგრძობს მჭიდრო თანამშრომლობას რუსეთთან. ეს უწინარეს ყოვლისა თავდაცვის სფეროსა და სოფლის მეურნეობას შეეხება.

ამერიკელი ექსპერტები თვლიან, რომ აღნიშნული განცხადება უფრო პუტინისა და მისი გუნდის დასამშვიდებლადაა განკუთვნილი.

ირანს დღეს ორი რამ ჰაერივით სჭირდება: გასაღების ბაზრები და დასავლური ტექნოლოგიები.

რუსეთის დახმარებით ირანი ვერც გასაღების ბაზრებს მოიპოვებს და ვერც თანამედროვე დასავლურ ტექნოლოგიებს მიიზიდავს. ირანის პრეზიდენტმა თვალი ევროპას მიაპყრო. ნავთობის ფასი ეცემა. თუკი ირანი ნავთობის ევროპულ ბაზარზე დამკვიდრდება, ეს ფასის ვარდნას დააჩქარებს. ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ ერთი ბარელი ნავთობის ღირებულება 30 დოლარზე დაბლა დაეცეს.

ნავთობზე ფასების ვარდნა რუსული რუბლის ვარდნასაც გამოიწვევს, ეს კი რუსეთში ეკონომიკური კრიზისის გამწვავებას ნიშნავს.

ექსპერტები ეჭვქვეშ აყენებენ რუსეთ-ირანის სამხედრო თანამშრომლობას. მიუხედავად იმისა, რომ ირანმა ახლახან რუსული რაკეტები (ს-300) შეისყიდა, ეს მჭიდრო სამხედრო თანამშრომლობას არ ნიშნავს. უკვე რამდენიმე წელია, რაც ირანი ჩინეთთან აქტიურად თანამშრომლობს და ჩინური იარაღის შესყიდვას აწარმოებს. დღესაც ირანელების მიერ ჩინური იარაღის შესყიდვა გაცილებით უფრო ინტენსიურად ხდება, ვიდრე რუსულისა.

– ირანის იზოლაციიდან გამოსვლამ რუსეთს უფრო მეტი პრობლემები შეუქმნა, – წერს ექსპერტი ფალკენგაუერი.

ამ მოსაზრებას ვლადიმერ ჟირინოვსკიც იზიარებს. რტრ-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ვლადიმერ ვოლფოვიჩმა აღნიშნა, რომ შეცდომა იყო ირანისათვის სანქციების მოხსნის საქმეში აქტიური მონაწილეობა.

ჟირინოვსკის აზრით, ეს აშშ-ს და არა რუსეთის ინტერესებს შეესაბამებოდა.

– ჩვენთვის გაცილებით ხელსაყრელი იყო იზოლაციაში მოქცეული ირანი, რომელსაც სხვა გზა არ რჩებოდა, გარდა მკვეთრად გამოხატული ანტიდასავლური, ანტიამერიკული კურსისა. ახლა ასე აღარ მოხდება, – ამბობს ჟირინოვსკი.

ნავთობზე ფასების ვარდნა ჟირინოვსკიმ სწორედ ირანის საერთაშორისო ბაზრებზე დაბრუნებით ახსნა. ვლადიმერ ვოლფოვიჩმა თქვა, რომ ახლა რუსეთს ერთადერთი გამოსავალი რჩება – დიქტატურა.

– ლიბერალ-დემოკრატიულმა კურსმა რუსეთი კატასტროფის პირას მიიყვანა! ხსნის ერთადერთი გზა ნაციონალური კონსოლიდაცა, ყველა პარტიის აკრძალვა და დიქტატურის დამყარებაა! – აცხადებს ჟირინოვსკი.

რუსი ექსპერტი ელენე სუპონინა იზიარებს მოსაზრებას, რომ ირანის იზოლაციიდან გამოსვლამ ნავთობზე ფასების დაგდებას ხელი შეუწყო. მიუხედავად ამისა, სუპონინა თვლის, რომ გარკვეული მოგება ამ პროცესიდან მაინც მიიღო.

– უდიდესი მიღწევაა ის, რომ ირანი ბირთვული იარაღის დამზადებას ვეღარ შეძლებს. ატომური იარაღით აღჭურვილი ფუნდამენტალისტური სახელმწიფო როგორც დასავლეთს, ასევე რუსეთსაც საფრთხეს უქმნიდა, – წერს სუპონინა.

ექსპერტი თვლის, რომ რუსეთს უბრალოდ არჩევანი არ ჰქონდა. საერთაშორისო საზოგადოებამ მტკიცედ აიღო კურსი იქითკენ, რომ ბირთვული ირანის შექმნა არ დაეშვა. ამ ტენდენციისადმი წინააღმდეგობის გაწევა რუსეთს გაცილებით ძვირი დაუჯდებოდა.

– ჩვენ მთელს მსოფლიოს დავუმტკიცეთ, რომ ჩვენთან საუბარი და თანამშრომლობა შეიძლება. ყველამ დაინახა, რომ რუსეთი საერთაშორისო სარბიელზე მასტაბილიზებელ როლს ასრულებს, ეს კი რუსეთის მიმართ საერთაშორისო სანქციების გაუქმებასაც გამოიწვევს, – წერს სუპონინა.

# ფრიდომ ჰაუსი: „უზბეკეთის მთავრობა სამარცხვინოდ მოიქცა“

2016 წლის 12 იანვარს რადიო თავისუფლების უზბეკურმა ბიურომ გაავრცელა ინფორმაცია უზბეკეთის რელიგიური ლიდერის, იულდაშევის გარდაცვალების შესახებ.

ის 2005 წელს დააპატიმრეს. იმ პერიოდიდან დღემდე მის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ არსებობდა. თვით იულდაშევის ოჯახის წევრებსაც კი მისი ნახვის საშუალება არ ჰქონდათ.

უზბეკი ოპოზიციონერები ავრცელებდნენ ცნობას, რომ იულდაშევი ციხეში 2012 წელს გარდაიცვალა.

უზბეკეთის ხელისუფლება ამას ჯიუტად უარყოფდა.

რადიო თავისუფლების მიერ გავრცელებული ინფორმაციის შემდეგ ოფიციალურმა ტაშკენტმა დაადასტურა, რომ იულდაშევი ციხეში ტუბერკულოზით გარდაიცვალა 2012 წელს.

ორგანიზაცია ფრიდომ ჰაუსმა ამასთან დაკავშირებით შემდეგი განცხადება გააკეთა:

– უზბეკეთის ხელისუფლების საქციელი სამარცხვინოა! აშშ-ს მთავრობას მოვუწოდებთ, რომ იულდაშევის მკვლელების დასჯას მიაღწიოს!




# პოლონეთის პრემიერმა ევროკავშირის კრიტიკა უარყო



პოლონეთის პრემიერმა ბეატა შიდლომ უარყო ევროკავშირის კრიტიკა პოლონეთის ახალი კონსტიტუციისა და მედიის საშუალებების მიმართ ახალი კანონის მიღებასთან დაკავშირებით.

შიდლომ გამოთქვა გაოცება იმის გამო, რომ ევროკავშირი პოლონეთის საკითხს ასეთ დიდ ყურადღებას უთმობს.

– დღეს ევროპაში სერიოზული პრობლემებია! არ მესმის, რატომ უთმობენ პოლონეთს ამდენ ყურადღებას, მით უმეტეს, როცა ჩვენთან დემოკრატია და ადამიანის უფლების დაცვის საკითხი უმაღლეს დონეზე დგას? – აცხადებს შიდლო.

პრემიერმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ვარშავა ოფიციალურ ბრიუსელთან დიალოგისთვის მზადაა, თუმცა განაცხადა, რომ პოლონეთი თავის სუვერენიტეტს დაიცავს.

– ევროსტანდარტები პოლონეთში მუდამ ხორციელდებოდა და მომავალშიც განხორციელდება, მაგრამ ეს ჩვენი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის შეზღუდვის ხარჯზე არ მოხდება, – თქვა შიდლომ.

# პაკისტანი:
# თავდასხმა უნივერსიტეტზე

პაკისტანის ქალაქ ჩარსადში ტერორისტებმა უნივერსიტეტის შენობაზე თავდასხმა განახორციელეს.

ისინი უნივერსიტეტში შეიჭრნენ და სტუდენტებს ცეცხლი გაუხსნეს.

არის მსხვერპლი. დაჭრილია რამდენიმე სტუდენტი, მოკლულია ქიმიის პროფესორი.

პაკისტანის უშიშროების ძალებმა უნივერსიტეტის შენობის გათავისუფლება სცადეს.

ორმხრივი სროლის შედეგად მოკლულია ორი ტერორისტი.



# ნადეჟდა სავჩენკოს ალიბი თვით რუსულ სასამართლოზეც კი დამტკიცდა

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

რუსეთის ტერიტორიაზე მდებარე ქალაქ დონეცკში გრძელდება უკრაინელი მფრინავის ნადეჟდა სავჩენკოს სასამართლო პროცესი. ამჯერად სასამართლოს ჩვენება უკრაინული არმიის ყოფილმა ჯარისკაცმა რუსნაკმა მისცა. ის დაწვრილებით მოყვა, თუ მისი ბმპ სეპარატისტების ცეცხლქვეშ როგორ მოექცა. ამის შემდეგ რუსნაკმა და მისმა მეგობრებმა ალმოდებული მანქანა დატოვეს და თავი ტყეს შეაფარეს. მალე მათ შემთხვევით გადაეყარა სავჩენკო, რომელმაც დაჭრილებს პირველი დახმარება აღმოუჩინა. რამდენიმე საათის შემდეგ სავჩენკო სეპარატისტების ტყვეობაში აღმოჩნდა. ამას ადასტურებს როგორც რუსმაკი, ასევე სეპარატისტების ბატალიონ „ზარიას“ მეთაური პლოტნიცკიც. ის ამჟამად ე.წ. „ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის“ მეთაურია. სავჩენკოს ალიბი პირველად უნებლიეთ ლუგანსკის რესპუბლიკის პირველმა ხელმძღვანელმა ვალერი ბოლოტოვმა დაადასტურა. გამომძიებელს მან განუცხადა, თუ როდის დაკითხა სავჩენკო. რუსი ტელე-ჟურნალისტები ამ დროს ჯერაც ცოცხლები იყვნენ და რამდენიმე საათის შემდეგ დაიღუპნენ.

– როგორც უკრაინელი ჯარისკაცი, ასევე სეპარატისტები ადასტურებენ, რომ როცა რუსი ტელე -ჟურნალისტები დაიღუპნენ, სავჩენკო უკვე ტყვეობაში იმყოფებოდა, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

ამრიგად, თვით რუსულ სასამართლოზეც კი სავჩენკოს ალიბი



დამტკიცდა, მაგრამ მოახდენს ეს გავლენას განაჩენის გამოტანაზე?

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## განცხადებები

**მკურნალობა**

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ექიმი პროფესიონალი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სათესლე ჯირკვლების ანთებას, ასოს, შარდსადინარის, პროსტატის ყველა სახის დაავადებას, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას. გვაქვს ინტიმური ურთიერთობების მოსაწესრიგებელი უვნებელი „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.

**კონსულტაცია უფასოა!**

☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).

მისამართი: ალმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

# ზუგდიდსა და ლანჩხუთში უცხოელი მწვრთნელები იმუშავებენ



ზამთრის შესვენების დროს ქართულ კლუბებში უცხოელი სპეციალისტები გამოჩნდნენ. მეორე წრისთვის ზუგდიდსა და ლანჩხუთის გურიას უკრაინელი და რუსი მწვრთნელები შეეცდებიან კლუბების უმაღლეს ლიგაში დატოვებას.

ზუგდიდის მთავარ მწვრთნელად უკრაინელი იური ბაკალოვი დაინიშნა. 49 წლის სპეციალისტმა პირველი ვარჯიშები უკვე გამართა.

ზუგდიდი შეკრების პირველ ნაწილს თვის ბოლომდე ადგილზე გეგმავს. ამის შემდეგ კი მოსამზადებელი პროცესი თურქეთში გაგრძელდება.

ლანჩხუთის გურიის ახალი მწვრთნელი კი 51 წლის რუსი სპეციალისტი ვიქტორ დემიდოვია. დემიდოვი ბოლოს სანკტ-პეტერბურგის დინამოს თავკაცობდა, მანამდე კი არაერთი კლუბი აქვს გამოცვლილი, რომელთა შორის ღირსშესანიშნავი სახელი არ ფიგურირებს.

ცნობილია ისიც, რომ დემიდოვს თბილისის დინამოს ყოფილი ფეხბურთელი მალხაზ არზიანი დაეხმარება.

# კაშიას მომავალი გაურკვეველია




ჰოლანდიური ვიტესის კაპიტანი ბოლო ტურში კლუბის ახალგაზრდულ შემადგენლობაში გამოჩნდა. არადა, ერთ დროს არნემული კლუბის ლიდერად და ჰოლანდიის ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო მცველად მიიჩნეოდა. აღსანიშნავია ის საკითხიც, რომ კაშიამ შემოდგომაზე კლუბთან ახალი კონტრაქტი გააფორმა, რომელსაც ვადა 2020 წელს გასდის.

ჩვენებურმა ნოემბერში ითამაშა დენ ჰააგთან, ხოლო ბოლოს უკვე დუბლებში გამოჩნდა.

სავარაუდოდ, საქართველოს ნაკრების მცველი კლუბს დატოვებს, მაგრამ სად გააგრძელებს კარიერას, ან რას მოითხოვენ ჰოლანდიელები კაშიას სანაცვლოდ, უცნობია.

გურამ კაშია:

– ეს სიტუაცია ძალიან მაშფოთებს. როდესაც 2020 წლამდე კონტრაქტს ვახანგრძლივებდი, ვერც კი წარმოვიდგენდი, ასეთი რამ თუ მოხდებოდა. ეს რომ მცოდნოდა, შეიძლება არც გამეგრძელებინა კონტრაქტი. ასაკის მიუხედავად, ჯერ თამაში ისევ მწყურია. ახლა ვარ კარიერის საუკეთესო წლებში. წავალ თუ არა, თუკი სიტუაცია გაგრძელდება? ჩემით დაინტერესებულნი იყვნენ, მაგრამ მე ყველაფერი გვერდზე გადავდე. მებრძოლი ხასიათი მაქვს და ასეთი სიტუაციებიდან ხშირად გამარჯვებული დავბრუნებულვარ.

19 იანვარი

**ფეხბურთი**

**აფრიკის ერთა თასი**

| | |
|---|---|
| ზიმბავე-ზამბია | 0:1 |
| მალი-უგანდა | 2:2 |

**იტალია. სერია ბ**

| | |
|---|---|
| პერუჯა-ვიჩენცა | 0:1 |

**საფრანგეთი. თასი**

| | |
|---|---|
| გაზელეკი-გენგამი | 3:0 |
| რენი-ბურჟე | 1:3 |
| ანჟე-ბორდო | 1:2 |
| ბასტია-სოშო | 1:2 |
| სარი-ნიორი | 1:0 |

**შოტლანდია. პრემიერშიპი**

| | |
|---|---|
| სელტიკი-ჰიბერნიანი | 8:1 |

**ჩოგბურთი**

**ავსტრალიის ღია პირველობა**

კაცები

| | |
|---|---|
| გარსია ლოპესი-ბრანდსი | 4:6;6:1;7:6;6:3 |
| კირგიოსი-კუევასი | 6:4;7:5;7:6 |
| ცონგა-იასიკა | 7:5;6:1;6:4 |
| ჰერბერტი-რუბინი | 6:3;6:4;6:0 |
| კუდლა-სეპი | 5:7;4:6;4:6 |
| ჯოკოვიჩი-ჰალისი | 6:1;6:2;7:6 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| გასპარიანი-ნარა | 6:4;6:4 |
| ჰანი-პუტინცევა | 3:6;1:6 |
| ნიკულესკუ-კულიჩკოვა | 4:6;6:2;4:6 |
| მლადენოვიჩი-გიბს | 6:1;7:6 |
| ა.რადვანსკა-ბუშარი | 6:4;6:2 |
| პუნგი-პლიშკოვა | 4:6;7:6;9:7 |
| გავრილოვა-კვიტოვა | 6:4;6:4 |

## შედეგები

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# 17 წლამდე ნაკრებმა ფინეთთან წააგო



საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა მინსკის საერთაშორისო ტურნირის მორიგი მატჩი ფინელ თანატოლთა გუნდთან გამართა და მინიმალური ანგარიშით დამარცხდა – 0:1.

ვასილ მაისურაძის გაწვრთნილმა გუნდმა გოლი 28-ე წუთზე საჯარიმო დარტყმით გაუშვა, რომლის ავტორიც ერიომენკო იყო. ჩვენმა 17-წლამდელებმა მოლდოვასთანაც წააგეს პირველი ტაიმი და შემდეგ 3 ქულაც ჩაიწერეს აქტივში, მაგრამ ამჯერად თამაშის გადარჩენა ვეღარ შეძლეს.

ქართველი 17-წლამდელები ჯგუფის ბოლო მატჩს უკრაინელ ჭაბუკებთან დღეს გამართავენ. უკრაინელებმაც ჩვენსავით მოუგეს მოლდოვას, თუმცა უფრო დიდი ანგარიშით – 5:1 და ჯგუფს, ფინელებთან ერთად, 4-4 ქულით ლიდერობენ. მაისურაძის გუნდი კი 3 ქულით მესამე ადგილს იკავებს.

ახლა 12-გუნდიან ტურნირზე პირველობისთვის ბრძოლის გასაგრძელებლად საქართველოს ნაკრებს უკრაინასთან აუცილებლად გამარჯვება, ხოლო ჯგუფის მეორე მატჩში მოლდოვასთან ფინელთა ვერმოგება სჭირდება. ეს კი რთულად შესაძლებელია.

ფინელებთან საქართველოს ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა:

გუგეშაშვილი, ასათიანი (შიხაშვილი 55), ხარაბაძე, კასრელიშვილი, ვირუბოვი, კუცია, ჩაკვეტაძე (ღლონტი 54), ანდრონიკაშვილი, სილაგაძე, ქავთარაძე (ერგემლიძე 29), სპანდერაშვილი

# საქართველოს ოლიმპიური შანსი ფიბამ სხვას მისცა

ხორვატიას, ლატვიას და თურქეთს, რომლებმაც გასულ ევროპის ჩემპიონატზე ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირის საგზურები ვერ მოიპოვეს, ფიბამ საჩუქარი გაუკეთა და ოლიმპიადაზე გასვლის შანსი უბოძა. ეს იყო საქართველოს ნაკრებისთვის ბოლო შანსი, რათა ოლიმპიადაზე გასვლისთვის ებრძოლა.

საჩუქრის მფლობელი ნაკრებები ფიბამ ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირში მიიწვია, რომელიც 4-10 ივლისს 3 ქვეყანაში – ფილიპინებში, სერბეთსა და იტალიაში გაიმართება.

ოლიმპიადის 2 საგზური გასულ ევროპის ჩემპიონატზე გათამაშდა და ისინი ფინალში გასულმა გუნდებმა – ესპანეთმა და ლიტვამ მიიღეს. ევრობასკეტზე ასევე გათამაშდა ოლიმპიადის დამატებითი საკვალიფიკაციო ტურნირის საგზურები, რომლები მე-3-7 ადგილებზე გასულმა გუნდებმა მიიღეს. შესაბამისად, ოლიმპიადის საკვალიფიკაციოში გავიდნენ – საფრანგეთი, სერბეთი, იტალია, საბერძნეთი, ჩეხეთი. ამ გუნდებს ფიბა-მ საკუთარი შეხედულებისამებრ დაამატა ლატვია, რომელიც ევრობასკეტზე მერვე ადგილზე გავიდა, ასევე თურქეთი და ხორვატია, რომლებიც, საქართველოს მსგავსად, მერვედფინალში დამარცხდნენ.

ანალოგიური პრინციპით ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირის საგზურები მოიპოვეს სხვა კონტინენტის გუნდებმაც და მათი საერთო რაოდენობა 18-ს შეადგენს. ესენი არიან:

ევროპა: იტალია, საფრანგეთი, საბერძნეთი, სერბეთი, ჩეხეთი, ლატვია, ხორვატია, თურქეთი

**აზია:** ფილიპინები, ირანი, იაპონია

**აფრიკა:** ანგოლა, ტუნისი, სენეგალი

**ამერიკა:** კანადა, მექსიკა, პუერტო რიკო

**ოკეანია:** ახალი ზელანდია.

ეს 18 გუნდი 26 იანვარს გერმანიის ქალაქ მიუნხენში მდებარე ფიბას შტაბბინაში ბრმა კენჭისყრით 3 ჯგუფში გადანაწილდება და ამ ჯგუფებს 4-10 ივლისს უმასპინძლებენ იტალიური ტურინი, ფილიპინური მანილა და სერბული ბელგრადი.

ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირის მონაწილე სერბეთი, იტალია და ფილიპინები საკუთარ ქვეყანაში ითამაშებენ. ოლიმპიადის საგზურს მიიღებს თითოეული ჯგუფის გამარჯვებული.

# ინფანტინოს პირობა – 40 გუნდი მუნდიალზე



ფიფას პრეზიდენტობის ერთ-ერთმა კანდიდატმა და უეფას გენერალურმა მდივანმა ჯანი ინფანტინომ პირობა დადო, რომ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში მუნდიალის მასპინძლობის უფლებას ნებისმიერი ქვეყანა მიიღებს.

გარდა ამისა, ნოემბერში ინფანტინო მსოფლიოს ჩემპიონატებზე გუნდების რაოდენობის 40-მდე გაზრდის იდეით გამოვიდა.

**ჯანი ინფანტინო:**

– ფიფამ აუცილებლად უნდა მიანიჭოს მუნდიალის მასპინძლობის უფლება ნებისმიერ ქვეყანას და არა მხოლოდ ერთ-ორ ერს. ეს ნებისმიერი ქვეყნისთვის დიდი პატივი და პასუხისმგებლობა იქნება.

ფიფას საპრეზიდენტო არჩევნები 26 თებერვალს შედგება. ინფანტინოს გარდა, საპატიო თანამდებობისათვის ორგანიზაციის გენერალური მდივნის ყოფილი თანაშემწე ჟერომ შამპანი, აზიის ფეხბურთის კონფედერაციის ხელმძღვანელი შეიხ სალმან ბინ იბრაჰიმ ალ-ხალიფა და სამხრეთაფრიკელი ბიზნესმენი ტოკიო სექსვალე იბრძოლებენ.

# კოლინა ტექნოლოგიის მომხრეა



უეფას სამსაჯო კომიტეტის ხელმძღვანელ პიერლუიჯი კოლინას განცხადებით, ფეხბურთში გოლის დამაფიქსირებელი ტექნოლოგიის დანერგვისთვის მისი ევრო 2016-ზე გამოყენება იდეალური იქნება.

„გოლ ტექნოლოჯის“ ევრო 2016-ის შემდეგ უკვე ჩემპიონთა ლიგისა და ევროპალიგის მატჩებზეც გამოიყენებენ.

წინა ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც 2012 წელს უკრაინა-პოლონეთში გაიმართა, ერთ-ერთ მასპინძელ უკრაინის ნაკრებს ინგლისთან (0:1) წაგებულ მატჩში ნამდვილი გოლი არ ჩაუთვალეს.

ყოფილი იტალიელი არბიტრის თქმით, გოლის გასაკონტროლებლად ამა თუ იმ მატჩის მთავარ არბიტრს დამატებითი ასისტენტები დაეხმარებიან.

# ლევან ყენიამ ტრავმა მოიშუშა




ლევან ყენიამ, რომელიც პრაღის სლავიაში თამაშობს, ტრავმა მოიშუშა და თავისი გუნდის ამხანაგურ შეხვედრაშიც მიიღო მონაწილეობა.

ყენიას ხშირად აწუხებს ტრავმები და ჯერ კიდევ შალკეში ყოფნის დროს ეს მისი მთავარი პრობლემა იყო.

ამჯერად ლევანმა ტრავმა რამდენიმე თვის წინ მიიღო, თუმცა უკვე სრულებით გამოჯანმრთელდა და თავის გუნდს მომავალ შეხვედრებში დაეხმარება.

სლავია შეკრებას ესპანეთში გაივლის, სადაც რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებს.

ჩეხეთის ჩემპიონატი თებერვალში განახლდება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

# ხორხე ვალდანო: „თავიდან ნეიმარი უბრალოდ მესის ემსახურებოდა“



მადრიდის რეალის ყოფილმა გენერალურმა დირექტორმა ხორხე ვალდანომ ნეიმარზე ისაუბრა და თქვა, რომ ბრაზილიელი ფორვარდის პროგრესი სახეზეა.

– თავიდან ნეიმარი უბრალოდ მესის მსახური იყო, მეორე სეზონში ის მისი პარტნიორი გახდა, ხოლო ამჟამად ნეიმარი მოედანზე თავს ძალიან თავისუფლად გრძნობს და შესაბამის თამაშსაც აჩვენებს. მისი ცქერა უდიდესი სიამოვნებაა, რადგან მას მოედანზე ყველაფრის გაკეთება შეუძლია და არაჩვეულებრივი ტექნიკა აქვს. ვფიქრობ, მომავალში სწორედ ნეიმარი მოიპოვებს ოქროს ბურთს, – განაცხადა ხორხე ვალდანომ.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

## კალეიდოსკოპი

# იოგას მოყვარულებმა რეკორდი დაამყარეს



ჰონკონგში ძაღლების 270 მფლობელი იოგას ვარჯიშზე საკუთარ შინაურ ცხოველებთან ერთად გამოცხადდა და ამით დოგას (ინგლისური სიტყვების დოგ და იოგა-ს შეთანხმება) ყველაზე მრავალრიცხოვნობის რეკორდი დაამყარეს.

ცხოველების პატრონებმა ასანები შეასრულეს, რომლის დროსაც მათი ძაღლები ან იქვე გვერდით იმყოფებოდნენ, ან პატრონებს ისინი ხელში ეჭირათ. როგორც დოგა-ინსტრუქტორმა სიუზეტ აკერმანმა განმარტა, რომელიც აღნიშნულ ღონისძიებას უძღვებოდა, აქტიურობის მოცემული სახეობა შესანიშნავი საშუალებაა დროის ძაღლთან ერთად გასატარებლად და მასთან კავშირის ბოლომდე შესაგრძნობად.

— ჰონკონგში ადამიანები ძალიან ბევრს შრომობენ, თითქმის 24 საათს დღეში და შვიდ დღეს კვირაში. ზოგიერთი მათგანი იძულებულია საკუთარი შინაური ცხოველების გასეირნება და გამოკვება სპეციალისტებს მიანდოს. ამ ღონისძიების დროს კი მათ საშუალება მიეცათ, მთელი საათი გაეტარებინათ საკუთარ ძაღლთან ერთად, — განმარტა აკერმანმა.

აღსანიშნავია, რომ ახალი მსოფლიო რეკორდი გინესის რეკორდების წიგნისგან დადასტურების მოლოდინშია, ხოლო ღონისძიებიდან შემოსული თანხა ქველმოქმედებას მოხმარდება.

# უხუცესმა ბრიტანელმა დაბადების დღისთვის ახალი პროთეზი ისურვა



ქალაქ რაიდის მცხოვრებმა უხუცესმა ქალბატონმა გლედის ჰუპერმა, რომელსაც ორშაბათს 113 წელი შეუსრულდა, დაბადების დღეზე ჭიქა ჩაი, ტორტის ნაჭერი და კბილების ახალი პროთეზი მოითხოვა. 2015 წლის ოქტომბერში დიდი ბრიტანეთის სამხრეთ ნაწილში მცხოვრები ქალბატონი გინესის რეკორდების წიგნში შევიდა, როგორც ქვეყნის უხუცესი მცხოვრები, რომელსაც თეძო-წელის არეში ოპერაცია ჩაუტარდა.

12 წლის მანძილზე ჰუპერი რაიდის მოხუცებულთა სახლში ცხოვრობს, სადაც მას დღესასწაულზე ნათესავებმა და მეგობრებმა მიაკითხეს. უხუცესი ქალბატონის შვილმა 85 წლის დერეკ ჰერმისტონმა განაცხადა, რომ დედამისი პროფესიონალი პიანისტი იყო.

— ახლაც ვამჩნევთ, ზოგჯერ მისი ხელები როგორ იმეორებენ იმ მოძრაობას, თითქოსდა პიანინოზე უკრავდეს. ვფიქრობ, რომ ასეთ დროს ის თავისი წარსულიდან მელოდიებს იხსენებს, — განაცხადა ჰერმისტონმა.

ჰუპერი 1903 წელს ბრაიტონში დაიბადა. ის უკრავდა მუსიკოსებთან და ჯაზმენებთან ჯეკ პეინთან, დებროი სომერსთან და მორის უინიკთან. გლედისი 1988 წელს დაქვრივდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## მედიცინა



# სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადადის



— სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური საგანგებო მუშაობის რეჟიმზე გადადის, — აღნიშნული გადაწყვეტილება გუშინ, 20 იანვარს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ სამინისტროში გამართულ თათბირზე მიიღო.

ჯანდაცვის მინისტრის თათბირს უწყების სხვადასხვა სამსახურებისა და დეპარტამენტების, ასევე სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.

დავით სერგეენკო შეხვედრაზე ინიციატივით გამოვიდა და სამსახურების ხელმძღვანელ პირებს მოუწოდა, თავიანთი სამსახურებრივი ავტომობილები გახშირებული გამოძახებებისთვის გამოიყენონ.

**დავით სერგიენკო:**

— გავაძლიერებთ თბილისის სასწრაფო დახმარების სამსახურს. მივამაგრებთ დამატებით მანქანებს. იგივე ეხება რაიონულ სასწრაფოს.

სამსახურებრივი მოხმარების მანქანები უნდა გადამისამართდეს, მეც მზად ვარ, რითიც დავდივარ, ჩემი მანქანა გადავამისამართო ამ საქმეზე, რომ ოჯახის ექიმებმა დაიწყონ სიარული მაღალი ტემპერატურის დროს გამოძახებებზე და არ გაუშვან ასეთ გამოძახებაზე აკივლებული სასწრაფოები, როდესაც ამ დროს კაცი კვდება სადღაც.

ცხელების გამოძახებები, რომლებიც არის არა რისკ-ჯგუფის პაციენტეში, ამაზე სასწრაფო ბრიგადა არ უნდა გა-



ვიდეს. არამედ უნდა გავიდეს მსუბუქი პატარა მანქანა, რომელშიც იქნება ოჯახის ექიმი. თბილისის სასწრაფოს მიმართ მაქვს რეკომენდაციები და ბრძანება, ასევე რაიონული სასწრაფოს მიმართ, მენეჯერები ცოტა ხნით ჩამოვიდნენ თავიანთი მანქანებიდან. მათ საზოგადოებრივი ტრანსპორტით ან ტაქსით იარონ, ყველას აქვთ საკმარისი ხელფასი ამისთვის და ეს მანქანები გამოიყენეთ ამ კატეგორიის გამოძახებებზე. ასეთ შემთხვევებზე გავიდეს სწორედ ეს მანქანები, — განაცხადა სერგეენკომ.

* * *

ე.წ. ღორის გრიპით ქუთაისში მამაკაცი გარდაიცვალა H1N1 ვირუსით ქუთაისში შუახნის მამაკაცი გარდაიცვალა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელმა პაატა იმნაძემ განუცხადა, პაციენტს თანმხლები დაავადება ჰქონდა და რისკჯგუფს წარმოადგენდა. იგი კლინიკაში მხოლოდ ერთი დღე იმყოფებოდა.

იმნაძის თქმით, H1N1 ვირუსით გარდაცვალების ლაბორატორიულად დადასტურებული მეორე შემთხვევა დაფიქსირდა.

მისივე განცხადებით, ამ დროისთვის საქართველოში 100 ათას მოსახლეზე გრიპის 250 შემთხვევა ფიქსირდება.

**პაატა იმნაძე:**

— გავრცელება არის საშუალო, ხოლო სიკვდილის შემთხვევები საბედნიეროდ ძალიან დაბალი. დღეს ყველა შემთხვევა, რაც არის გრიპის, არის H1N1 ვირუსი, გარდა ზოგიერთი შემთხვევებისა. ძალიან იშვიათ შემთხვევებში გვხვდება H3. ავადმყოფისთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, გრიპის რომელი ვირუსით გახდება ავად. ვირუსის ლაბორატორიულად დადასტურება იმისთვის გვჭირდება, რომ ვიცოდეთ რა ვირუსები ცირკულირებს საქართველოში.

## ეკონომიკა

# ვინ გახდება ეროვნული ბანკის პრეზიდენტი



კულუარებში საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრობის 3 კანდიდატზე აქტიურად საუბრობენ.

ესენი არიან: გიორგი ბაქრაძე, რომელიც ეროვნული ბანკის მოქმედი თანამშრომელია, ნია შარაშიძე, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდში მუშაობს და არჩილ იაკობაშვილი, პროფესიით ფინანსისტი და ასოცირებული პროფესორი.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, გიორგი ქადაგიძეს ვადა 2016 წლის თებერვალში ეწურება. ახალი პრეზიდენტი საბჭოს წევრებიდან აირჩევა.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ეროვნული ბანკის საბჭოს წევრობის კანდიდატის წარდგენის ბოლო ვადად 27 იანვარი განისაზღვრა.

ამ შეთანხმებას დარგის ექსპერტებმა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროს გიორგი აბაშიშვილთან შეხვედრაზე მიაღწიეს, რომელიც პრეზიდენტის სასახლეში გუშინ, 20 იანვარს, გაიმართა.

შეთანხმების შესაბამისად, 27 იანვარს ექსპერტებს გადაეგზავნებათ კონკრეტული კანდიდატურები და ამ დღიდანვე დაიწყება შეფასების პროცედურა.

როგორც გიორგი აბაშიშვილი ვარაუდობს, პირველი ეტაპი ამ ნაწილში სწრაფად დასრულდება.

ამის შემდეგ ექსპერტების მიერ დასახელებულ კანდიდატებს პრეზიდენტი განიხილავს, შეარჩევს და პარლამენტს წარუდგენს.

— სხვა საკითხებთან ერთად დღევანდელ შეხვედრაზე ჩამოვყალიბდით კანდიდატურის შერჩევის კრიტერიუმებზე — ეს არის განათლება, პროფესიული გამოცდილება და პოლიტიკური მიუკერძოებლობა, რომელიც ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, — აღნიშნა გიორგი აბაშიშვილმა.

# ასტროპროგნოზი

## 20 იანვრისთვის



**ვერძი** — აუცილებლად შეურიგდით ადამიანებს, რომლებთანაც კონფლიქტი გაქვთ. მეტი დრო დაუთმეთ მეგობრებთან ურთიერთობას. ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ, გირჩევთ, ძველი დაამთავროთ. **კურო** — მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში მეგობრები და ახლობლები დაგეხმარებიან. თავს ნუ გადაიტვირთავთ, აკეთეთ ის, რაც გსიამოვნებთ. **ტყუპები** — მოვლენებს ნუ დააჩქარებთ. აფორიაქებული ხართ. მომავლის გეგმებს ნუ დასახავთ. ეცადეთ, კონფლიქტურ სიტუაციებს გაერიდოთ. **კირჩხიბი** — გრძელვადიანი გეგმებისთვის შეუფერებელი პერიოდია. გამახვილებული ინტუიციის წყალობით სწორ გადაწყვეტილებას მიიღებთ. ისწრაფეთ სრულყოფილებისკენ. **ლომი** — ეს დღე ნეგატიური ტენდენციებით ხასიათდება. ნებისმიერი კომერციული აქტივობა ფინანსური კრახით დამთავრდება. **ქალწული** — იოლად არავის მიენდოთ, თორემ იმედი გაგიცრუვდებათ. კონტაქტები მინიმუმამდე დაიყვანეთ. თავი აარიდეთ უსარგებლო საუბრებს. **სასწორი** — დღეს ნურაფერს დაგეგმავთ. დაისვენეთ მყუდრო გარემოში. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებამდე კარგად დაფიქრდით. **ღრიანკალი** — დაისვენეთ, გაერთეთ, გაისეირნეთ. ნუ გარისკავთ. კომერციული საქმიანობა და ბიზნესმოლაპარაკებები რეკომენდებული არ არის. **მშვილდოსანი** — შემოქმედებითი პოტენციალი საგრძნობლად აგიმაღლდებათ. მაქსიმალურად გამოიყენეთ თქვენი ორგანიზატორული ნიჭი. საქმე დინჯად და მოთმინებით აკეთეთ. **თხის რქა** — ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. წარმატება გარანტირებული გაქვთ. სამსახურში წინსვლა გელით. **მერწყული** — დღეს ნებისმიერი წამოწყება კრახით დამთავრდება. ფხიზლად იყავით. გულს ნურავის გადაუშლით. **თევზები** — იყავით დიდსულოვანი, დამთმობი. მშვიდი დღეა, რომელიც გპირდებათ ახალ სამსახურს, შემოქმედებითი არეალის გაფართოებას. ნუ აჩქარდებით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ზღვისპირა კურორტი ლიტვაში; 2. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული საფრანგეთში; 3. ხელოვნურად მიღებული რადიაქტიური ქიმიური ელემენტი; 4. სვან მამაკაცთა ცეკვა; 5. ფინეთის დედაქალაქი; 7. უწვერულვაშო მამაკაცი; 11. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 13. მოლაპარაკე ფრინველი; 15. ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 16. თვისტომი, ახლობელი, თანამემამულე; 18. ისტორიული ქალაქი მცირე აზიაში, სადაც გაიმართა პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება; 19. ოპტიკური მინა.

**თარაზულად:** 6. ძლიერი სულიერი განცდის გამოვლენა; 8. სამყარო, როგორც მთლიანობა; 9. ქართული ჩაი; 10. მცირეოდენი განსხვავება რამეში; 12. ცნობილი ესპანელი არქიტექტორი; 14. იაპონელთა ნაციონალური ტანსაცმელი; 17. საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცული ლუკას კრანახას ფერწერული ტილო; 20. ინგლისელი პოეტი, ლორდი; 21. სახელმწიფო ევროპაში; 22. ვულკანიდან მაგმას ამოფრქვევა დედამიწის ზედაპირზე; 23. სპორტის სათამაშო სახეობა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ბურნუთი; 2. ჭომა; 3. სვანი; 4. ალკოვი; 6. ფეხბურთი; 9. იუმორი; 13. ოჩოკოჩი; 14. ვანდომი; 15. ჩაქურა; 17. ფრაჟე; 18. ვერნი; 20. პუფი.

**თარაზულად**: 1. ბოჭორმა; 5. გრიფი; 7. ღვეზელი; 8. რემისია; 10. ზუთხი; 11. ნამყო; 12. ქემელი; 16. მანათი; 17. ფშავი; 19. ოქრო; 21. ბუფონი; 22. ეჟვანი; 23. პასივი; 24. ჩინური.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ეშელონი; 2. ჩონჩხი; 3. სიკოფანტი; 4. კარატე; 9. ფოლკნერი; 7. რახი; 11. როტონდა; 13. დუქარდი; 15. ბლიცი; 16. ქერჩი; 18. ოტელო; 19. ნივეა.

**თარაზულად**: 6. შტერნი; 8. კოფეინი; 9. მარსელი; 10. ოტიატრი; 12. სირია; 14. სენსეი; 17. ტაქსაფონი; 20. ბონდერი; 21. მცხეთა; 22. ლუგელა; 23. ციხეგოჯი.

# სამგლოვიარო განცხადებები



## რობიკო ოთარაშვილი

ორმოცი დღე გავიდა და ღვთის წინაშე უნდა წარსდგეს წუთისოფლიდან გასულის სული.

ყველა სიკეთე, რაც ცხოვრების მანძილზე უკეთებია რობიკო ოთარაშვილს, ცოდვათა შემსუბუქება ყოფილიყოს მისთვის.

რობიკო რომ ჩვენთან აღარ არის, ვერაფრით დავუკავშირეთ გარდაცვალებას. ორმოცი დღე გავიდა და ნელ-ნელა, მძიმედ მოდის მისი არყოფნის სევდის გაცნობიერება. მანამდე ეს უფრო ემოციური იყო, ბოლომდე გაუაზრებელი, პანიკურიც... ახლა ამ სევდას განსჯა ახლავს – როგორ ვიცხოვრეთ მასთან ერთად; რა შეგვეშალა ურთიერთობაში; რა დავაკელით; რა, ვის და რისი დარდი გაიყოლა. ყველას დაფიქრება გვმართებს და... მონანიებაც.

რობიკო ჩვენთან აღარ არის და რაღაც მნიშვნელოვანი დამთავრდა. გაჩნდა სიცარიელე, რომელსაც ვერავინ და ვერაფერი შეავსებს, ვერ ჩაენაცვლება. დაგვიტოვა კაცური სევდა, მონატრება და უკმარისობა.

სამეგობროსა და ახლობლებს აღარ გვყავს კაცი – ალალმართალი, ყველას გამკითხავი, იმედი და მორბედი, მაგრამ, თურმე ვინც გიყვარს და ვისაც უყვარხარ, არასდროს მიდის შენგან, მაინც ერთად რჩებით. რობიკო ისევ ჩვენთან იქნება ფიქრებში, მოგონებებში, ლოცვებში.

მასთან ურთიერთობის უარყოფითი მომენტები ვერ გავიხსენეთ... მაგრამ კარგად გვახსოვს, რომ იყო:

– დიდებული ოჯახის ღირსეული შვილი;

– სამაგალითო მეოჯახე, შეუდარებელი მასპინძელი და სასურველი სტუმარი;

– მშვიდი, მიმტევებელი, ქუდნამუსიანი ვაჟკაცი;

– საიმედო კოლეგა და ულალატო მეგობარი;

– ამიერკავკასიისა და შემდგომ საქართველოს რკინიგზის სამშენებლო ინდუსტრიის ერთ-ერთი ღირსეული და ღვაწლმოსილი ლიდერი;

– უანგარო ქველმოქმედი, სიკეთის უშურველად და უხვად გამცემი.

სამწუხაროდ, იყო...

ნათელში ამყოფოს...

ღვთის წყალობით, ბევრი კარგი ადამიანი დადის თბილისში. რობიკო ერთ-ერთი იმათთაგანია, ვინც ცოტათი მეტი იყო, ვიდრე მხოლოდ თბილისელი კარგი კაცი.

„ღმერთო, მიეც მას საუკუნო ხსოვნა“. ამინ!

**მეგობრები, ახლობლები**

---

შპს კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ეროვნული ცენტრის თანამშრომლები თანავუგრძნობთ კლინიკურ-ლაბორატორიული დიაგნოსტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელ მარიამ წიკლაურს დედის, სათნო და კეთილშობილი ქალბატონის

**თამარ ვასილის ასულ კაკალაშვილი-წიკლაურის**

გარდაცვალებას.

ვუსამძიმრებთ ოჯახს, ნათესავებს, ახლობლებს.



ექიმ-დერმატოლოგ ელენე ბერიშვილს გარდაეცვალა ბებია, ქალბატონი

**თამარ ვასილის ასული კაკალაშვილი-წიკლაური**

ვიზიარებთ ოჯახის მწუხარებას.

შპს კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ეროვნული ცენტრის თანამშრომლები

---

სამსონ, ლიანა, ცელესტინა, ცისანა, ფატი მათითაიშვილები იუწყებიან

**ვილენი (ვასიკო) ასკურავას**

გარდაცვალებას.

სინანულს გამოთქვამენ, უსამძიმრებენ ოჯახის წევრებსა და მათ ახლობლებს.

ვიზიარებ ოჯახის ღრმა მწუხარებას. თანაგრძნობას გიცხადებთ ყველას – ნათესავებს, ახლობლებს, მეგობრებს, მეზობლებს, მშობლიური სოფლის ქვიანის მოსახლეობას. თქვენთან ერთად დავტირი და ვემშვიდობები ჩემს სიყრმის მეგობარს, გამორჩეულად კაი ბიჭს, ყველასთან პირნათელ ჩემს ვასიკოს, სააქაო წუთისოფლიდან სამარადჟამო დიდ სოფელში გარდასვლის გამო, სადაც მას არანაკლებ კაი ბიჭები დახვდებიან...

„ღმერთო, მიეცი ამ ბიჭებს მეორედ მოსვლის უფლება“!

ყველას უმტკივნეულო მშვიდობიან წელს გისურვებთ. უფალი გფარავდეთ. ამინ!

**სამსონ მათითაიშვილი**

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ვაცლავ ჰაველის პიესა ქართული თეატრის სცენაზე გაცოცხლდა



ჩეხი დრამატურგისა და პოლიტიკოსის ვაცლავ ჰაველის პიესა ქართული თეატრის სცენაზე გაცოცხლდა. მარჯანიშვილის თეატრის დიდ სცენაზე რეჟისორებმა ლევან წულაძემ და დათო ჩხარტიშვილმა წარმოადგინეს ჰაველის „წასვლა“, რომელშიც დავით დვალიშვილი, ქეთი გეგეშიძე, ეკა მჟავანაძე, თამარ ბუხნიკაშვილი, ანა გრიგოლია, ირმა ბერიანიძე, ნინო გაჩეჩილაძე, ზაზა გოგუაძე, კონსტანტინე როინიშვილი, გიორგი კიკნაძე, ზურა ბერიკაშვილი, დავით ხურცილავა, ზაზა სალია, მარიამ ტომარაძე, ბიჭიკო ჭეიშვილი, ცოტნე მაისურაძე, ანდრო ჭიჭინაძე და მარიამ ღვინიანიძე მონაწილეობენ.

ამ პიესის წერა ჰაველმა ჯერ კიდევ 1988 წელს დაიწყო, თუმცა ჩეხოსლოვაკიის „ხავერდოვანი რევოლუციის“ ლიდერად, შემდეგ კი პრეზიდენტად ქცევის გამო ის დიდი ხნით გადადო გვერდზე. მაგრამ, როგორც მისი თანამებრძოლები ამბობენ, ძალაუფლების ბუნებაზე, სიმართლეზე, მორალზე, სამართლიანობასა და ისტორიაში ინდივიდის როლზე ფიქრი მას არასოდეს შეუწყვეტია, არც აქტიური პოლიტიკოსობის დროს და არც ლიტერატურული მოღვაწეობის პერიოდში.

„სახელმწიფო არსებობს მოქალაქისთვის და არა მოქალაქე სახელმწიფოსთვის. გვსურს, რომ ეს ქვეყანა უსაფრთხო ადგილი იყოს თავისუფალი და ყოველმხრივ განათლებული ადამიანისთვის. და არა მხოლოდ მისთვის! მისი ოჯახისთვისაც!“ – ეს არის მთავარი გზავნილი, რომლითაც ჩეხი პოლიტიკოსი მსოფლიოს მთავარი ღირებულებების დაფასებისკენ მოუწოდებს.



# ანდრის ლიეპა თბილისში „ფასკუნჯს“ დგამს

მსოფლიოში ცნობილი ქორეოგრაფი და პროდიუსერი ანდრის ლიეპა თბილისში „ფასკუნჯს“ დგამს. საბალეტო დასთან რეპეტიციები უკვე დაწყებულია.

მსოფლიოს სხვადასხვა საბალეტო დასთან წარმატებული მოღვაწეობის შემდეგ, ქორეოგრაფმა ქართველ მოცეკვავეებთან სპექტაკლის დადგმა გადაწყვიტა და არჩევანი ფასკუნჯის კლასიკურ ვერსიაზე შეაჩერა.

ქორეოგრაფის მიერ დადგმული სპექტაკლის პრემიერა აპრილში გაიმართება, მანამდე კი საბალეტო დასის მოცეკვავეები მაყურებელს დავით თორაძის „გორდას“ აღდგენილ ვერსიას შესთავაზებენ.

# ია ფარულავა და ტარიელ სუარი დაშორდნენ

მსახიობი ია ფარულავა და გიტარისტი ტარიელ სუარი დაშორდნენ. ამ ინფორმაციას ჟურნალისტები დიდი ხნის წინ ავრცელებდნენ, თუმცა თემაზე წყვილს ტაბუ ჰქონდა დადებული და კომენტარს არც ერთი მათგანი არ აკეთებდა.

ხანგრძლივი დუმილი ისევ ტარიელ სუარმა დაარღვია და საზოგადოებას სიმართლე გაუმხილა:

– მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებას დიდი ხნის წინ მივაწოდე ინფორმაცია ჩემსა და იას დაშორების შესახებ, ჟურნალისტები დღესაც იას ქმრად მიხსენიებენ. სულ ამ თემაზე ხომ არ ვისაუბრებ? როგორ მოვიქცე, მირჩიეთ რამე! შემიძლია მუსიკის ენაზე ავხსნა? მე საზოგადოების შეცდომაში შეყვანა არ მინდა, თორემ რაც უნდა ის წერონ! თავში ქვა უხლიათ!

რეპლიკაზე, ალბათ თვითონ ია გიხსენიებს ქმრად და მაგიტომო, ტარიელმა უპასუხა, წარმოდგენა არ მაქვს.

ბოლო პერიოდში მათი დაშორების შესახებ ინკოგნიტოები ინტერნეტში აკეთებდნენ კომენტარს და აღნიშნავდნენ, რომ მათი ქორწინება შოუს ნაწილი იყო. ტარიელ სუარმა ია ფარულავას ხელი „ნიჭიერის“ სცენაზე სთხოვა. მსახიობმა გიტარისტის წინადადება მიიღო და ცოლობაზე თანხმობა განაცხადა. წყვილი მაშინვე წმინდა ნიკოლოზის ტაძარში წავიდა და ჯვარი დაიწერა.

მათი დაშორების ინფორმაციის გაჟღერებამდე, ია და ტარიელი ხშირად აღნიშნავდნენ, რომ ერთობლივი ფილმის გადაღებას გეგმავდნენ, რადგან მათი პირადი საზოგადოებას ასე აინტერესებდა და ფილმს სერიების საშუალებით შესთავაზებდნენ მაყურებელს.

ამის ფონზე ვანოს შოუში სტუმრად მისულ ტარიელ სუარს მაინც მოუწია იასთან ურთიერთობაზე საუბარი და მუსიკოსმაც იუმორით ისაუბრა მსახიობზე. ამ გადაცემის ეთერში გასვლის შემდეგ, ია ტარიელს დაემუქრა, რომ თუ ის კარგად არ მოიქცეოდა, ყველას გააგებინებდა მისი კარვის „ხრუშჩოვკად“ გადაქცევის შესახებ.



# ნინო და ილიკო სუხიშვილებმა მოცეკვავეებს ბინები აჩუქეს

**დასაწყისი მე-12 გვერდზე**

საკონცერტო სერია გამართეს. საქართველოს რეგიონებსა თუ უცხოეთში სუხიშვილებმა ათეულობით კონცერტი ჩაატარეს.

მსოფლიო ტურნედან დაბრუნებულმა დასმა კიდევ ერთი საიუბილეო კონცერტი თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართა, სადაც ანსამბლის ხელმძღვანელებმა ნინო და ილიკო სუხიშვილებმა მოცეკვავეებს მოულოდნელი სიურპრიზები მოუმზადეს.

დეველოპერულმა კომპანია „სვეტმა“ ანსამბლის ძველი და ახალი თაობის 19 წევრს საჩუქრად საცხოვრებელი ბინები გადასცა. მოცეკვავეების გარდა, ბინები საჩუქრად მიიღეს ანსამბლის მუსიკოსებმაც. ეს ის ადამიანები არიან, რომლებსაც ბინა ყველაზე მეტად სჭირდებოდათ და ისინი წლებია ქირით ცხოვრობენ.

ხანგრძლივი მსოფლიო ტურნედან დაბრუნებული დასი, ორთვიან გასტროლებზე გამგზავრებამდე ქართველი მაყურებლის წინაშე კიდევ ორ დღეს 22 და 23 იანვარს საიუბილეო პროგრამით წარდგება. შესრულებული იქნება 70 წლის მანძილზე დადგმული საუკეთესო კომპოზიციები. კონცერტებიდან შემოსული თანხით ანსამბლის ხელმძღვანელობა იმ მოცეკვავეებს დაეხმარება, რომლებიც „სუხიშვილებში“ წლების განმავლობაში ცეკვავდნენ და ახლა მათი თანადგომა ყველაზე მეტად სჭირდებათ.

**ნინო სუხიშვილი:**

– ვულოცავ თითოეულ მოცეკვავეს და მუსიკოსს ამ საჩუქარს, რომელიც მათ გადაეცათ ანსამბლის იუბილეს ფარგლებში. ჩვენ ერთი დიდი ოჯახი ვართ და ეს აისახება ანსამბლის წარმატებებზე. 2015 ჩვენთვის კარგი და წარმატებული წელი იყო, ჩვენი ანსამბლის საიუბილეო წელი, 70 წლის გავხდით და მსოფლიოს გარშემო კიდევ ერთხელ შემოვიარეთ, უკრაინა, მოლდოვა, ბელორუსია, ეგვიპტე, საფრანგეთი, ინგლისი, ამერიკა, ჩინეთი, ისრაელი, ბულგარეთი, შვეიცარია, იტალია. 2015 წლის 31 დეკემბერს 22:00 ვერონაში წლის ბოლო კონცერტი მივეცით, 12:00 სცენაზე მაყურებელთან ერთად შევხვდით, სრული ანშლაგით! 2016 წლის პირველ იანვარს შუადღეს ისევ კონცერტი, ვიცენცაში, ისევ ანშლაგი, ისევ ტრიუმფი! ისევ დაგვებედა! ბედნიერი ვარ, რომ ასეთ ბედნიერებას და სიხარულს ვანიჭებთ მაყურებელს ყველგან, არა მგონია ბევრმა დაიკვეხნოს ანშლაგები თეატრში 31 დეკემბრის საღამოს და პირველი იანვრის შუადღეს. ბედნიერი წელი ყველას, ჩვენს ერთგულ მაყურებელს, მე თქვენ მიყვარხართ!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# TV პროგრამა

**ხუთშაბათი 21 იანვარი**

**07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 00.00** "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 23.00** ტ/სერ. "**დაუნტონის სააბატო**" **12.30** "ტრანსმისია" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.05** "წიგნის თარო" **14.30** ან./ფ "მხიარული ფერმა" **15.00** დ/ფ "ჯეიმის ამერიკული საგზაო თავგადასავალი" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.30** "ინტერვიეწ" – სალომე ასათიანთან ერთად **21.00** თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" **22.00** "ეპოქის ფრაგმენტები" **22.05** "კომუნიკატორი" **00.10** მხ/ფ "**ბორცვებისა და ველების ქვეყანა**" (ვ.ჰარელსონი) **02.00** მხ/ფ "**შიში**" **03.35** დ/ფ "ჯეიმის ამერიკული საგზაო თავგადასავალი"

**08.00, 10.10, 15.00, 17.00, 21.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **11.00** დ/ფ "პროფესორ ომიშენის წარმოუდგენელი მფრინავი მანქანები" **11.50** წყალბურთი – ევრო-2016 **14.00** ტ/სერ. "**ლოს ანჯელესის პოლიცია**" **16.00** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **21.30** "არგუმენტების დრო" **23.00** "ნამდვილი დრო"

**06.00, 14.40** სერ. "**ორი ბედი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.10** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 10.05** იმედის დილა **10.05** სერ. "**ოცი წუთი**" **11.20** სერ. "**კონტრაქტის პირობები**" **6** სერ. **12.30** დღის შოუ **17.35** სერ. "**დაკარგული წლები**" **18.45, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **00.00** მხ/ფ "**ანგარიში**" (ე.ნორტონი) **02.20** მხ/ფ "**მტერი კარიბჭესთან**" (ჯ.ფაინსი) **04.30** მხ/ფ "**ძაღლების ამბავი**" (ა.პლამერი)

**06.00, 19.55** სერ. "**აღთქმა**" **07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.40** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.55** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **22.00** პროფილი **23.30** სერ. "**სიცრუის თეორია**" ს4 (სეზ.3) **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

**08.30, 18.30** საინფორმაციო გამოშვება მსოფლიო ამბები. (გამეორება) **09.00** ან/სერ. ავატარი. ჰაერის. უკანასკნელი. მბრძანებელი **10.00, 19.00** სერ. "**ჯონათან. სტრეინჯი და მისტერ ნორელი**" **11.00** ჯიდიპედია **11.30** შუადღე **14.00, 17.50** სერ. "**ახალი გოგო**". **14.30, 18.00** სერ.. "**ცენტრი**" **15.00** ან/სერ. ავატარი. ლეგენდა აანგის შესახებ **16.00** Discovery ამერიკა. ფაქტები და გამონაგონი **17.00** აირჩიე კაბა **17.30** საქორწილო გარდასახვა **19.30 20. 30 20.30, 22.00** მზარეულები **22.30** ბინა. **18 23.30** მხ/ფ **01.20, 03.05** ჯიდიპედია. **02.15, 04.00** URBAN STORIES. **04.30** შუადღე. (გამეორება) **07.00 20.30.** (გამეორება)

**06.15** ჩვენი ფონდი **06.40** პატერიკი **06.50** დეკორატიული ფლორა "ბეგონია" **07.05** ქართული ალბომი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება "გიორგი VII-ის წერილი თემურ ლენგს" **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**ლომა, დავიწყებული მეგობარი**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "ქრიზანტემა" **15.05** ივერიის ეკლესია **15.20** ქართული ანიმაციური ფილმი **15.50** ჩვენი ფონდი **16.20** კონცერტი **17.35** დ/ფ "კაბადოკია, მერვე საოცრება" **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** პორტრეტები **20.00** სიმღერის კვალდაკვალ "კესანე" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ლექციები მეფუტკრეობაზე-ფუტკრის დინდგელი **22.25** წმ. ცხოვრებააბო თბილელი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დ/ფ **01.25** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

**მაესტრო** **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ყოჩაღი ბიჭები" (ჟესტიკულაციით) **7.55** "საქმიანი დილა" **10.05** სერ. "**სხვისი სხეული**" **11.05** სერ. "**ქუზეი და გუნეი**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 14.05, 16.05, 17.05, 1.00** სერ. "**ტატიანა**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სამედიცინო "პულსი" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05, 2.30** სერ. "**ბერძენი ქალი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**ყველაფერი ახლა იწყება**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.30** სერ. "**ეკატერინა**"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**21 იანვრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.428

ევრო — 2.6448

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4686

100 რუსული რუბლი — 3.0821

## ამინდის პროგნოზი 21 იანვრისთვის






## კალეიდოსკოპი

### მიტოვებულმა პატარძალმა დედამიწის გარშემო მოგზაურობა დაიწყო



დიდი ბრიტანეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარე ქალაქ ფორმბის მცხოვრებმა კეტი კოლინზმა, რომელიც საქმრომ პირდაპირ საკურთხეველთან მიატოვა, სამსახური დატოვა, სახლი გაყიდა და ეს ყველაფერი იმისთვის გააკეთა, რომ დედამიწის გარშემო მოგზაურობა მოეწყო. ქალმა ტაილანდში გასამგზავრებელი ბილეთი შეიძინა და ინტერნეტში შექმნა გვერდი, რომელშიც საკუთარ მოგზაურობას ასახავს.

– ყველა ფიქრობს, რომ ამას სიბრაზისგან ვაკეთებ. იმის გათვალისწინებით, რომ მარტო არასოდეს არსად გავმგზავრებულვარ, განმარტოებისთვის დრო მჭირდებოდა. ადამიანები, რომლებსაც არ ვიცნობდი, წერილების მოწერა დაიწყეს ჩემ გვერდზე, ჩემ მიმართ მხარდაჭერას გამოხატავენ. ზოგიერთი მათგანისთვის ჩემი ისტორია იქცა იმ მოვლენად, რომელმაც მათ საკუთარი ცხოვრების შეცვლის გადაწყვეტილება მიაღებინა, – განაცხადა კოლინზმა.

30 წლის ბრიტანელმა თავდაპირველად ტაილანდის, ინდოეთისა და ნეპალის მონახულება გადაწყვიტა. გოგონამ უკვე დაწერა პირველი რომანტიკული ნოველა. მომავალში ის რამდენიმე წიგნის გამოშვებას აპირებს, რომლებიც მის მოგზაურობას მიეძღვნება.

### ლონდონში ყოფილი საზოგადოებრივი ტუალეტი იყიდება



ყოფილი მიწისქვეშა საზოგადოებრივი ტუალეტი, რომელიც ლონდონის სპიტალფილდსის რაიონში მდებარეობს, გასაყიდადაა გამოტანილი და მისი ფასი მილიონ ფუნტს (1,3 მილიონი დოლარი) შეადგენს.

ბრიტანული კომპანია, რომელიც შენობების რეალიზაციითაა დაკავებული, მას აღწერს, როგორც პოტენციურ ადგილს „უმშვენიერესი და უჩვეულო“ ბარის ან რესტორნის გასახსნელად და რომელსაც „ბრწყინვალე ადგილმდებარეობა აქვს“. ამასთან ყოფილი ტუალეტის ფართი სულ რაღაც 600 კვადრატულ ფუტს (დაახლოებით 56 მეტრკვადრატი) შეადგენს, ანუ შენობაში 60 ადამიანის განთავსებაა შესაძლებელი.

აღსანიშნავია, რომ ყოფილი საზოგადოებრივი ტუალეტი უკვე ასრულებდა ღამის კლუბის ფუნქციას 2000-დან 2012 წლის ჩათვლით. თუმცა დაწესებულება მას შემდეგ დაიხურა, როდესაც სამართალდამცავი ორგანოები მოქალაქეთა საჩივრებით აივსო, რომელთაც კლუბის სტუმრების თავაშვებული საქციელი აწუხებდათ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ქართველი მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 2. სასოფლო-სამეურნეო, ტექნიკური, ბოჭკოვანი მცენარე; 3. რხევათა სიხშირის საზომი ერთეული ფიზიკაში; 4. ძველი წერილობითი საბუთების საცავი; 6. ფუტკრის სკის შავი ფიჭა; 9. მაროკოს დედაქალაქი; 13. ჩრდილო ამერიკაში მზარდი გიგანტური წიწვოვანი ხე; 14. ქართული ჩაი; 15. პატარა სასაუზმე საფრანგეთში; 17. მდინარე ინდოეთსა და ბანგლადეშში; 18. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 20. ფულის ერთეული ალბანეთში.

**თარაზულად:** 1. დაბალი რანგის დიპლომატი; 5. აეროპორტი პეკინში; 7. სოფლის შარაგზა; 8. ფრანგ კომედიოგრაფ პოკლენის ფსევდონიმი; 10. სარგებლით გასესხებული ფულის ძირითადი თანხა; 11. სოხუმის ძველი სახელწოდება; 12. იზოლირებული სადენი; 16. უღრანი ტროპიკული ტყე; 17. პოლიტიკური პარტია საქართველოში; 19. ქართული ზღაპრების პერსონაჟი, ბოროტი, ავი სული; 21. დანიელი არქიტექტორი, სიდნეის ოპერის თეატრის პროექტის ავტორი; 22. ისტორიული სამთავრო დასავლეთ საქართველოში; 23. ერბოში ჩახარშული ყველისგან მომზადებული აჭარული კერძი; 24. ჩრდილო ამერიკაში გავრცელებული გარეული ხარი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




# 20 იანვრიდან „ახალ თაობასთან“ ერთად „მგლის ბილიკი“

## ქართული დეტექტივი. ტომი 1




### ხამესი შეიძლება რეალიდან წავიდეს



მადრიდის რეალის კოლუმბიელი ფეხბურთელი ხამეს როდრიგესი უკმაყოფილოა იმით, რომ ბოლო პერიოდში მცირე სათამაშო პრაქტიკა ეძლევა, ამიტომ არ არის გამორიცხული, მან სამეფო გუნდი დატოვოს.

ხამესის შეძენის დიდი სურვილი აქვს მანჩესტერ იუნაიტედს, რომელიც მზად არის, 87 მილიონი ევრო გადაიხადოს. გარდა ამისა, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ხამესს კონფლიქტი მოუვიდა რეალის ახალ მთავარ მწვრთნელ ზინედინ ზიდანთან, რომელიც უკმაყოფილო იყო ხამესის ვარჯიშისადმი ზერელე დამოკიდებულებით.

თვითონ ფეხბურთელს ამ თემაზე და მის შესაძლო წასვლაზე ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია.

ხამესი რეალში 2014 წლის ზაფხულში გადავიდა.

### ნაპოლის მწვრთნელმა რობერტო მანჩინის გეი უწოდა





იტალიის თასის მეოთხედფინალურ შეხვედრაში ნაპოლიმ საკუთარ მოედანზე ინტერი მიიღო და დამარცხდა ანგარიშით 0:2.

მატჩის შემდეგ გუნდების მწვრთნელებს შელაპარაკება მოუვიდათ.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, ნაპოლის დამრიგებელმა მაურიციო სარიმ ინტერის მწვრთნელ რობერტო მანჩინის სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და მას გეი უწოდა. მანჩინიმ ამ ინციდენტზე ასეთი კომენტარი გააკეთა:

– მაურიციო სარი ჰომოფობია, რომელმაც მატჩის შემდეგ გეი მიწოდა. წარმოუდგენელია, რომ 60 წლის კაცმა ასეთი რამ გააკეთა. გასახდელში მან ბოდიში მომიხადა, მაგრამ მინდა, რომ თავისი სიტყვები ინანოს. ინგლისში ასეთი ტიპის ადამიანებს სტადიონზე არ უშვებენ.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

### ნინო და ილიკო სუხიშვილებმა მოცეკვავეებს ბინები აჩუქეს

ანსამბლ „სუხიშვილების“ 70 წლის იუბილე გრანდიოზულად დაგვირგვინდა. თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში ანსამბლის მოცეკვავეებმა საიუბილეო თარილის აღმნიშვნელი ბოლო კონცერტი გამართეს და ის ქველმოქმედებას მიუძღვნეს.

კონცერტი თენგიზ სუხიშვილის სახელობის საქველმოქმედო ფონდის და დეველოპერული კომპანია „სვეტის“ ორგანიზებით მოეწყო. კონცერტზე წარმოდგენილი იყო ის საუკეთესო საცეკვაო ნომრები, რომლებიც ანსამბლმა თავისი არსებობის 70 წლის განმავლობაში შექმნა.

გასულ წელს ანსამბლს დაარსებიდან 70 წელი შეუსრულდა. მთელი წლის განმავლობაში მოცეკვავეებმა უწყვეტი


**გაგრძელება მე-11 გვერდზე**




## იუმორი



შვილი დედას ეკითხება:

– დედა, ეს რა არის?

– ეს ხახვის წვნიანია, შვილო.

– რა, ჩიპოლინო მოკალი?

– არა, ძვირფასო, მკვდარი ვიყიდე.

●●●

დედა თავის 18 წლის გოგონას ექიმთან მიიყვანს და ეუბნება:

– ექიმო, ჩემს გოგონას მუდმივად თავბრუსხვევა და გულისრევის შეგრძნება აქვს.

ექიმმა გოგონა გასინჯა და ქალს ეუბნება:

– თქვენი შვილი ხუთი თვის ფეხმძიმეა.

– რას ამბობთ, ექიმო, ის არასოდეს მამაკაცთან არ ყოფილა! ასე არ არის, შვილო?!

– ერთხელაც კი არ მიკოცნია არავისთვის, – პასუხობს გოგონა.

ექიმი ხმის ამოუღებლად მიდის ფანჯარასთან და გარეთ იყურება. გავიდა 5 წუთი, 10, ბოლოს დედამ ვეღარ მოითმინა და ექიმს ეკითხება:

– ექიმო, მოხდა რამე?

– იცით რა, უბრალოდ, ასეთ დროს აღმოსავლეთით კაშკაშა ვარსკვლავი ამოდის და მთიდან სამი მოგვი ჩამოდის. ჰოდა, მეც ველოდები.

●●●

მოსამართლე ბრალდებულს მიმართავს:

– ამრიგად, თქვენ ბრალი გედებათ თაღლითობაში. თქვენ გულუბრყვილო მოქალაქეებს ახალგაზრდობის ელექსირს ასაღებდით. ანალოგიური დანაშაულისთვის ადრე თუ ხართ ნასამართლევი?

– დიახ, ბატონო მოსამართლევ.

– რამდენჯერ და როდის?

– 1451, 1639, 1893 და 1904 წლებში.

●●●

მამა შვილს ეკითხება:

– აბა, შვილო, როგორაა საქმე? როდის აპირებ დაოჯახებას?

– მამა, მე ჯერ ძიებაში ვარ. მინდა ისეთი გოგონა მოვძებნო, რომ დედაჩემს ჰგავდეს.

– ჰოო, შვილო, რა გითხრა იცი? ახლა ასეთებს აღარ აკეთებენ. მოდელი კონვეიერიდან მოხსნილია, სათადარიგო ნაწილებიც აღარ გამოდის...

●●●

ბინაში ქურდი შეიპარა. ამ დროს თუთიყუში იძახის:

– ბუბუ, ყველაფერს ხედავს.

ქურდმა გალიას ქსოვილი გადააფარა.

თუთიყუში ისევ იძახის:

– ბუბუ თუთიყუში არ არის, ბუბუ ძაღლია... ბუბუ – ფას!!!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**